საჩივრების წარდგენისა და სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმები

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის

დაიცავით თქვენი უფლებები

2004

დოკუმენტი გამოიცემა პროექტის - “ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნაბთობსადენის
პროექტის სოციალური მონიტორინგი პროექტის განხორციელების ზეგავლენის ქვეშ მყოფი ადგილობრივი თემების მიერ” ფარგლებში

ასოციაცია “მწვანე ალტერნატივა”

მადლობას უხდის დიდი ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაცია

“OXFAM”-ის

საქართველოს წარმომადგენლობას

და

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბანკებზე დამკვირვებელთა ქსელს

CEE Bankwatch-ს

გაწეული დახმარებისთვის

საჩივრების წარდგენისა და სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმები

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი 4

2. ზოგადი ცნობები ბთჯ ნავთობსადენის პროექტის შესახებ 4

3. ბთჯ მილსადენის კომპანიის საჩივრების წარდგენისა და სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმი ნავთობსადენის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობისთვის 6

3.1 ვინ განიხილება ნავთობსადენის პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობად? 7

3.2 რა საკითხებზე შეიძლება იქნეს შეტანილი საჩივარი? 7

3.3 ვის უნდა მიმართოთ საჩივრით და რა ფორმით? 8

3.4 საჩივრის განხილვის მექანიზმი და ვადები 10

3.5 საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების სხვა ვალდებულებები 11

4. ბთჯ ნავთობსადენის პროექტი და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია 12

4.1 რა არის საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია? 13

4.2. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუცმენი და მისი ფუნქციები 14

4.3 რას ითვალისწინებს მომრიგებელი მოსამართლის როლი? 15

4.4 ვის შეუძლია ომბუცმენთან საჩივრის წარდგენა? 15

4.5 საჩივრის წარდგენის ფორმა, შინაარსი და კონფიდენციალობა 16

4.6 ომბუცმენის აპარატში საჩივრის განხილვის ეტაპები 17

I დანართი 22

II დანართი 23

III დანართი 38

IV დანართი 40

1. შესავალი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (ბთჯ) ნავთობსადენის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა ხშირად მოგვმართავს თხოვნით, განუმარტოთ, თუ ვინ, როდის და როგორ უნდა მოაგვაროს საქართველოში ბთჯ ნავთობსადენის პროექტის განხორციელებასთან (მაგალითად, მიწის კომპენსაციასთან, დასაქმებასთან, დაზიანებულ გზებთან ან საცხოვრებელ სახლებთან, მძიმე სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებით გამოწვეულ ხმაურსა და მტვერთან, გაუვარგისებულ მიწასთან და სხვ.) დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემური (სადავო) საკითხი.

როგორც ჩვენმა გამოცდილებამ აჩვენა, მოსახლეობა ნაკლებად ფლობს ინფორმაციას, თუ ვის და რა ფორმით უნდა მიმართოს სოფელმა ან კერძო პირმა ამა თუ იმ სადავო საკითხის თაობაზე. მოსახლეობა ხშირად აღნიშნავს, რომ მათ წერილობითი თუ ზეპირსიტყვიერი განცხადებით მიმართეს სხვადასხვა ორგანიზაციას, თუმცა ვერ მიიღეს პასუხი (ან პასუხი არ იყო დამაკმაყოფილებელი). ამდენად, ბთჯ ნავთობსადენის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სადავო საკითხის მოსაგვარებლად მიმართოს იმ ორგანიზაციას ან შესაბამის თანამდებობის პირს, რომლის ვალდებულებაცაა ამა თუ იმ პრობლემური საკითხის განხილვა და მის მოსაგვარებლად გარკვეული ზომების მიღება.

ამ ბროშურის მომზადების მიზანიც სწორედ ეს გახლავთ. დოკუმენტში წარმოდგენილია ინფორმაცია, რომელიც ნავთობსადენის პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობას ნათელ წარმოდგენას შეუქმნის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმოქმედოს და დაიცვას თავისი უფლებები სხვადასხვა პრობლემური საკითხის წარმოქმნისას. დოკუმენტში განხილულია ბთჯ ნავთობსადენის პროექტის განმახორციელებელი კომპანიების/ორგანიზაციების მიერ დადგენილი ***საჩივრების წარდგენისა და სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმები*** (პროცედურები, საშუალებები). მოსახლეობის მიერ აღნიშნული მექანიზმების უფრო ეფექტურად გამოყენების მიზნით, ასევე წარმოდგენილია ჩვენი რჩევები.

2. ზოგადი ცნობები ბთჯ ნავთობსადენის პროექტის შესახებ

ბთჯ ნავთობსადენის მშენებლობა საქართველოში 2003 წელს დაიწყო. მშენებლობის დასრულება დაგეგმილია 2004 წლის ბოლოსათვის, ხოლო ნავთობსადენის ექსპლუატაციის დაწყება მოსალოდნელია 2005 წლიდან. ნავთობსადენის მშენებლობასა და ექსპლუატაციას უძღვება ბთჯ მილსადენის კომპანია (BTC Co), უშუალოდ სამშენებლო სამუშაოებს კი ახორციელებს ბთჯ მილსადენის კომპანიის სამშენებლო კონტრაქტორი – ფრანგული კომპანია "სპი კაპაგი" (Spie Capag) და ამერიკული კომპანია "პეტროფაკი" (Petrofac).

საქართველოში, აზერბაიჯანსა და თურქეთში ნავთობსადენის პროექტის განხორციელებისათვის საჭირო თანხის ერთ მესამედს თავად ბთჯ მილსადენის კომპანია გაიღებს. დანარჩენი თანხის მოსაპოვებლად კი, ის მოლაპარაკებებს აწარმოებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ფართო ჯგუფთან, რათა მათ მიერ გაცემული შეღავათიანი სესხით დაიფაროს ნავთობსადენის პროექტის განხორციელების ხარჯების ორი მესამედი. 2003 წლის ნოემბერის დასაწყისში

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა, კერძოდ, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (მსოფლიო ბანკის ჯგუფი) და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკმა, გამოყო სესხი პროექტისთვის და ამდენად, მათაც, თავის მხრივ, აიღეს პასუხისმგებლობა ბთჯ ნავთობსადენის პროექტის თავის მიერვე დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებაზე.

საქართველოში ნავთობსადენის პროექტი ხორციელდება ბთჯ მილსადენის კომპანიის მიერ შემუშავებული ე.წ. ***საპროექტო დოკუმენტაციის*** მიხედვით.[1] საპროექტო დოკუმენტაცია მოიცავს უამრავ სხვადასხვა სახის დოკუმენტს, რომელშიც განხილულია ნავთობსადენის პროექტის განხორციელების (წინასამშენებლო, მშენებლობის, ექსპლუატაციის, ექსპლუატაციიდან გამოყვანის) ეტაპები და თითოეულ ეტაპზე მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები, უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად ან შესარბილებლად გასატარებელი დაგეგმილი ღონისძიებები და განსაზღვრულია ამ ღონისძიებების გატარებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციები თუ თანამდებობის პირები.

აღნიშნული დოკუმენტებიდან ნავთობსადენის პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია "გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიში", "განსახლების სამოქმედო გეგმა", "საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის გეგმა", "საზოგადოების უსაფრთხოების მართვის გეგმა", "სამშენებლო ბანაკების მართვის გეგმა", "ტრანსპორტის მართვის გეგმა" და სხვ. სწორედ ამ დოკუმენტებითაა განსაღვრული ის ვალდებულებები, რომელიც თავად აიღეს ბთჯ მილსადენის კომპანიამ და მისმა სამშენებლო კონტრაქტორმა ნავთობსადენის პროექტის მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად ან/და შესარბილებლად. ამ დოკუმენტებითაა დადგენილი ნავთობსადენის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობისთვის ***საჩივრების წარდგენისა და სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმის*** შემუშავების ვალდებულებაც. ეს მექანიზმი დეტალურადაა განხილული ბროშურის მე-3 თავში. რაც შეეხება ბთჯ მილსადენის კომპანიისა და მისი სამშენებლო კონტრაქტორის სხვა ვალდებულებებს, მათი ნაკრები მოკლედ წარმოდგენილია ამ ბროშურის ***II დანართში***.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბთჯ ნავთობსადენის პროექტის განხორციელებაში, ბთჯ მილსადენის კომპანიის გარდა, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციაც მონაწილეობს. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია ამა თუ იმ პროექტში მონაწილეობისას ხელმძღვანელობს საკუთარი მოთხოვნებით, როგორიცაა: პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მოსახლეობასთან (საზოგადოებასთან) მუდმივი კონსულტაცია, პროექტით გამოწვეული შესაძლო გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგების შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება ან მაქსიმალური შერბილება და სხვ. ამგვარი მოთხოვნების შესრულების მიზანია, რომ საზოგადოებასთან გამართული დიალოგის საფუძველზე, პროექტი განხორციელდეს

[1] საქართველოში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენის პროექტის განხორციელების სამართლებრივი მოთხოვნები განსაზღვრულია ორი საერთაშორისო ხელშეკრულებით. ამ ხელშეკრულებების შესახებ მოკლე ინფორმაცია იხილეთ ამ ბროშურის I დანართში.

იმგვარად, რომ რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიადგეს მოსახლეობასა და ბუნებრივ გარემოს. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ზიანის თავიდან აცილება, აუცილებელი ხდება ზიანის შემარბილებელი ზომების გატარება და მიყენებული ზიანის კომპენსაცია.

ბთჯ ნავთობსადენის პროექტის შემთხვევაში, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, ისევე როგორც ბთჯ მილსადენის კომპანია, მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების შერბილების ერთ-ერთ საშუალებად განიხილავს პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობისთვის ***საჩივრების წარდგენისა და სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმის*** არსებობას. ის, თუ როგორც მუშაობს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ეს მექანიზმი და როგორ უნდა გამოიყენოს ის საქართველოს მოსახლეობამ, განხილულია ამ ბროშურის მე-4 თავში.

აღსანიშნავია, რომ მომდევნო თავებში განხილული არც ბთჯ მილსადენის კომპანიისა და არც საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ დადგენილი ***საჩივრების წარდგენისა და სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმი, არ ზღუდავს საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებას, მიმართოს საქართველოს სასამართლო სისტემას სადავო საკითხის წარმოქმნისას.*** ანუ, თუ თქვენ თვლით, რომ საქართველოში ბთჯ ნავთობსადენის პროექტის განხორციელებისას დაირღვა თქვენი უფლებები, სადავო საკითხის მოსაგვარებლად თქვენ შეგიძლიათ ან პირდაპირ მიმართოთ სასამართლოს ამ ბროშურაში განხილული მექანიზმების გამოუყენებლად, ან ჯერ გამოიყენოთ ეს მექანიზმები და შემდგომ, დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მიმართოთ სასამართლოს.

3. ბთჯ მილსადენის კომპანიის საჩივრების წარდგენისა და სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმი ნავთობსადენის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობისთვის

ბთჯ მილსადენის კომპანიის ***საჩივრების წარდგენისა და სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმის*** მთავარი მიზანია, მარტივად და დაუყოვნებლივ მოგვარდეს მთელი რიგი პრობლემები და სადავო საკითხები, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ნავთობსადენის პროექტის განხორციელების პროცესში. "განსახლების სამოქმედო გეგმის" თანახმად, ***საჩივრების წარდგენისა და სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმის*** კონკრეტული მიზნებია:

- პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის უზრუნველყოფა საჩივრის წარდგენისა და სადავო საკითხების მოგვარების მარტივი და ხელმისაწვდომი მექანიზმით;
- საჩივარში წამოჭრილი საკითხის მოსაგვარებლად საჭირო, სათანადო და ორივე მხარისთვის მისაღები, გამოსასწორებელი ღონისძიებების დადგენა და განხორციელება;
- შემოწმება იმისა, თუ რამდენად არიან კმაყოფილნი მომჩივანები გამოსასწორებელი ღონისძიებების შედეგებით; და
- თავიდან იქნეს აცილებული მომჩივანის მიერ სასამართლოსთვის მიმართვა.

ბთჯ მილსადენის კომპანია თვლის, რომ ***საჩივრების წარდგენისა და სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმის*** საშუალებით, შეამოწმებს ბთჯ ნავთობსადენის პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ხარისხს. ამდენად, საჩივრების რაოდენობის მატების შემთხვევაში, ბთჯ მილსადენის კომპანიამ და მისმა სამშენებლო კონტრაქტორმა შესაძლოა, განიხილონ მათი მუშაობის პრაქტიკის ან პროცედურების შეცვლის შესაძლებლობა, რათა შემცირდეს უარყოფითი ზემოქმედება და კონფლიქტები ნავთობსადენის პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ ცალკეულ ოჯახებთან და მოსახლეობასთან.

3.1 ვინ განიხილება ნავთობსადენის პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობად?

როგორც ცნობილია, ნავთობსადენი საქართველოში გადაკვეთს 7 რაიონს – გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის, ბორჯომის, ახალციხისა და ადგენის, აგრეთვე ქ. რუსთავის ადმინისტრაციული საზღვრის ნაწილს. მილსადენი 72-მდე დასახლებული პუნქტის ახლომდებარე ტერიტორიაზე გადის და კვეთს კერძო საკუთრებაში და სარგებლობაში არსებულ 4 000-ზე მეტ მიწის ნაკვეთს.

ბთჯ მილსადენის კომპანია ნავთობსადენის პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობას შემდეგნაირად განმარტავს:

- პირები, რომლებიც ფლობენ ან სარგებლობენ მიწით, რომელიც მდებარეობს ნავთობსადენის დერეფნის ცენტრიდან ორივე მხარეს 2 კმ-ის ფარგლებში;
- პირები, რომლებიც ფლობენ ან სარგებლობენ მიწით, რომელიც მდებარეობს ნავთობსადენის მიწისზედა ნაგებობებისა (მაგ., საქაჩი სადგურების, ჩამკეტი სარქველების სადგურების) და მუშათა ბანაკების 5 კმ-ის რადიუსში;
- პირები, რომლებიც ფლობენ ან სარგებლობენ მიწით, რომელიც მდებარეობს ნავთობსადენის მილსაწყობების 2 კმ-ის რადიუსში;
- გზისპირას მცხოვრები პირები, რომლებიც ნავთობსადენის პროექტის განხორციელების გამო, განიცდიან საგზაო ტრანსპორტის რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდის ზემოქმედებას.

წარმოდგენილი განმარტება მოცემულია ბთჯ მილსადენის კომპანიის "საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის გეგმაში", თუმცა, ჩვენი აზრით, ნებისმიერ პიროვნებას, რომელიც სხვადასხვა გარემოებათა გამო, განიცდის ბთჯ ნავთობსადენის პროექტის ნებისმიერი სახის უარყოფით ზემოქმედებას, შეუძლია გამოიყენოს ამ ბროშურაში მოყვანილი მექანიზმი და მოითხოვოს სადავო საკითხის განხილვა.

3.2 რა საკითხებზე შეიძლება იქნეს შეტანილი საჩივარი?

საჩივარი შეიძლება წარდგენილ იქნეს ბთჯ ნავთობსადენის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემური საკითხის თაობაზე. თუმცა, არსებობს მთელი რიგი საკითხებისა, რომელიც, როგორც გამოცდილებამ აჩვენა, უკვე აწუხებს ნავთობსადენის პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობას. ესენია: მიწისა და მასზე განლაგებული ნარგავების არასწორი ინვენტარიზაცია (აღწერა), დავა საკომპენსაციო თანხაზე, "ნარჩენ" თუ

"დარჩენილ" მიწაზე კომპენსაციის მიღების საკითხი, გზების დაზიანება და მძიმე სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებით გამოწვეული ხმაური, ვიბრაცია და მტვერი, გზისპირას მდებარე სახლების დაზიანება, მუშათა ბანაკების მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის წუხილი მუშათა ყოფა-ქცევის გამო, გენერატორების მუშაობით გამოწვეული ხმაური და სხვ.

დროთა განმავლობაში, ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გარდა, ბთჯ ნავთობსადენის პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე შესაძლოა, თავი იჩინოს სხვა სახის პრობლემებმაც, როგორიცაა, მაგალითად: ნავთობსადენის მშენებლობის პროცესში სამშენებლო დერეფანის მიმდებარე მიწის სხვა ნაკვეთების დაზიანება, მათზე სამშენებლო ნარჩენების განთავსება, საირიგაციო არხების ან წყალმომარაგების სისტემის დაზიანება, მოსახლეობისთვის საკუთარი მიწის ნაკვეთებით სარგებლობის შესაძლებლობის შეზღუდვა ნაკვეთებთან მისასვლელი გზების არარსებობის გამო, სამშენებლო სამუშაოების გამო საქონლის დაზიანება ან დაღუპვა, მიწის გაუვარგისება მშენებლობის დამთავრების შემდეგ მიწის ზედა ფენის არასათანადო აღდგენის გამო, მშენებლობის დასრულების შემდეგ მიწით სარგებლობაზე ან საირიგაციო არხების გაღრმავებაზე მეტისმეტად მკაცრი შეზღუდვების დაწესება და სხვ.

ყველა ზემოთ აღნიშნული, თუ ნავთობსადენის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა სახის პრობლემის წამოჭრისას, თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ამ ბროშურაში განხილული ***საჩივრების წარდგენისა და სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმი*** და საჩივრით მიმართოთ შესაბამის თანამდებობის პირს.

3.3 ვის უნდა მიმართოთ საჩივრით და რა ფორმით?

ბთჯ მილსადენის კომპანიის ***საპროექტო დოკუმენტაციის*** თანახმად, ნავთობსადენის მშენებლობის პერიოდში საჩივრების შეგროვებაზე, საჩივრებში აღწერილი პრობლემების გამოკვლევასა და მომჩივანისათვის პასუხის გაცემაზე პასუხისმგებელი არიან ***ბთჯ მილსადენის კომპანიის სამშენებლო კონტრაქტორის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები***. ამასთანავე, დაშვებულია საჩივრით მიმართვა ბთჯ მილსადენის კომპანიის და სამშენებლო კონტრაქტორის ნებისმიერი თანამშრომელისადმი, რომელიც საჩივრის მიღების შემდეგ ვალდებულია გადასცეს ის შესაბამის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერს. "განსახლების სამოქმედო გეგმა" ასევე ითვალისწინებს საჩივრით სოფლების, რაიონებისა და ქალაქების ხელისუფლების ორგანოებისთვის მიმართვის შესაძლებლობას, რათა მათ საჩივრები დაუყოვნებლივ გადაუგზავნონ შესაბამის პირებს.

იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო კონტრაქტორის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები ვერ უზრუნველყოფენ საჩივარზე დამაკმაყოფილებლად რეაგირებას, მომჩივანს შეუძლია საჩივრით მიმართოს ***ბთჯ მილსადენის კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს***, რომლის საკონტაქტო მონაცემებიც ბთჯ მილსადენის კომპანიის მიერ გავრცელებულ უნდა იქნეს ნავთობსადენის პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობაში.

ამგვარად, ”განსახლების სამოქმედო გეგმის” თანახმად, ბთჯ მილსადენის კომპანიამ აიღო ვალდებულება განიხილოს ნავთობსადენის პროექტის განხორციელების ***წინასამშენებლო და ექსპლუატაციის ეტაპებზე*** წარმოქმნილი საჩივრები. რაც შეეხება, ***მშენებლობის პერიოდში*** წარმოქმნილ საჩივრებს, მათზე რეაგირების ვალდებულება ეკისრება ბთჯ მილსადენის კომპანიის მიერ დანიშნულ სამშენებლო კონტრაქტორს. თუმცა, როგორც ზემოთ აღნიშნულიდანაც ჩანს, ბთჯ მილსადენის კომპანია განახორციელებს სამშენებლო კონტრაქტორის მიერ საჩივრებზე რეაგირების და მომჩივანთათვის დამაკმაყოფილებელი შედეგების მისაღწევად გაწეული სამუშაოს მუდმივ ზედამხედველობას.

ჩვენი რჩევა

იმის და მიხედვით, თუ რა საკითხზე და რომელ რაიონში აპირებთ საჩივრის წარდგენას, უმჯობესია, პირდაპირ მიმართოთ შესაბამის თანამდებობის პირებს, კერძოდ:

- ***ნავთობსადენის მშენებლობის ეტაპზე წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად, მიმართეთ სამშენებლო კონტრაქტორის (სპი-პეტროფაკის) საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებს;***
- ***საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში წამოჭრილი საკითხების შესახებ, მიმართეთ ”საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის” განმახორციელებელი ორგანიზაციების შესაბამის თანამდებობის პირებს;***
- ***დასაქმებასთან წამოჭრილ პრობლემებთან დაკავშირებით, მიმართეთ დასაქმების საინფორმაციო ცენტრებს.***

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების გარდა, თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ საკითხზე პირდაპირ მიმართოთ თვით ბთჯ მილსადენის კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებს.

ბთჯ მილსადენის კომპანიის და მისი სამშენებლო კონტრაქტორის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების; საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის და დასაქმების საინფორმაციო ცენტრების საკონტაქტო დეტალები წარმოდგენილია ამ ბროშურის III დანართში.

მნიშვნელოვანია ისიც, თუ ***რა ფორმით***, ანუ როგორ მიმართავთ საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებს. ”განსახლების სამოქმედო გეგმის” თანახმად, მომჩივანმა საჩივარი შეიძლება წარადგინოს როგორც სიტყვიერი, ისე წერილობითი ფორმით. ”საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის გეგმა” კი, ასევე ითვალისწინებს საჩივრის მიღებას ტელეფონის საშუალებითაც. გეგმის ავტორთა თანახმად, სამუშაო საათების განმავლობაში მომჩივანს შეუძლია ტელეფონის საშუალებით, შესაძლებლობის და მიხედვით, პირდაპირ გაესაუბროს სამშენებლო კონტრაქტორის თანამშრომელს თავისი საჩივრის თაობაზე. სამუშაო საათების შემდეგ კი საჩივარი მიღებული იქნება ტელეფონი-ჩამწერის საშუალებით. თუმცა, ითვალისწინებს რა, საქართველოში სატელეფონო ხაზების გაუმართაობას, სამშენებლო კონტრაქტორი

იღებს ვალდებულებას ფართოდ გაავრცელოს ინფორმაცია საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების ადგილსამყოფელის შესახებ.

ამრიგად, ''საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის გეგმის'' თანახმად, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების ჯგუფმა მშენებლობის ადგილების, სამშენებლო ბანაკებისა და იმ გზების სიახლოვეს განაგებულ დასახლებულ პუნქტებში, სადაც მნიშვნელოვნად მოიმატებს ტრანსპორტის მოძრაობა, მოსახლეობასთან ჩატარებული შეხვედრებისა და პლაკატების საშუალებით უნდა უზრუნველყოს საკონტაქტო ტელეფონის ნომრების, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების ადგილსამყოფელისა და საჩივრების წარდგენის მექანიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

ჩვენი რჩევა

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნული გეგმების თანახმად, დაშვებულია საჩივრის სიტყვიერად წარდგენა, ყოველთვის უფრო მიზანშეწონილია, რომ საჩივარი წარადგინოთ უშუალოდ საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერთან, წერილობითი სახით.

ამასთან, სასურველია, რომ საჩივარი მოამზადოთ ორ ეგზემპლარად (ასლად). ერთი ეგზემპლარი გადაეცით საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერს. თხოვეთ ოფიცერს, რომ მეორე ეგზემპლარზე დაგიმოწმოთ საჩივრის ჩაბარების ფაქტი (მოაწეროს ხელი და მიუთითოს საჩივრის ჩაბარების თარიღი). დამოწმებული ეგზემპლარი დაიტოვეთ თქვენ.

3.4 საჩივრის განხილვის მექანიზმი და ვადები

''განსახლების სამოქმედო გეგმის'' თანახმად, საჩივრის განხილვის პროცესი შესაძლებელია პირობითად დაიყოს ექვს ეტაპად. ქვემოთ მოკლედ მიმოხილულია ეს ეტაპები.

<u>I ეტაპი – საჩივრის მიღება</u>

საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერის მიერ მიღებული ყველა საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს ***საჩივრის ჟურნალში***. საჩივრის შესახებ საწყისი ჩანაწერი უნდა მოიცავდეს: საჩივრის აღწერას, მომჩივანის მონაცემებს და საჩივრის შესვლის თარიღს.

<u>II ეტაპი – გამოსასწორებელი ქმედების განსაზღვრა</u>

ბთჯ მილსადენის კომპანიის სამშენებლო კონტრაქტორი[2] განიხილავს საჩივარს და განსაზღვრავს, თუ რა შეიძლება გაკეთდეს საჩივარში წამოჭრილი საკითხის მოსაგვარებლად, ანუ განსაზღვრავს შესაბამის გამოსასწორებელ ქმედებას. საჭიროების შემთხვევაში, გამოსასწორებელი ქმედების განსაზღვრის დროს, გათვალისწინებულია მომჩივანთან კონსულტაციაც.

[2] ნავთობსადენის პროექტის განხორციელების წინასამშენებლო და ექსპლუატაციის ეტაპებისას კი, ბთჯ მილსადენის კომპანია

ამ ეტაპზე საჩივრის ჟურნალში ჩაიწერება შემდეგი სახის მონაცემები: რა სახის გამოსასწორებელი ქმედება უნდა გატარდეს, დროის მონაკვეთი, რომელშიც უნდა შესრულდეს ეს ქმედება და ვინ არის პასუხისმგებელი ქმედების შესრულებაზე. ამასთან, იმისათვის, რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული ანალოგიური უარყოფითი ზემოქმედება ან კონფლიქტი, საჩივრის განხილვასთან ერთად, სამშენებლო კონტრაქტორი განსაზღვრავს, რამდენად გამართლებულია მის სამუშაო პრაქტიკაში რაიმე ცვლილების შეტანა.

III ეტაპი – მომჩივანთან ერთად განხილვა

საჩივრის მიღებიდან ***15 დღის ვადაში***, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი ვალდებულია წერილობით აცნობოს მომჩივანს დაგეგმილი გამოსასწორებელი ქმედებისა და მისი შესრულების ვადის თაობაზე და განიხილოს ის მომჩივანთან ერთად. საჭიროების შემთხვევაში, გამოსასწორებელი ქმედების შესრულების დაწყება შეთანხმდება მომჩივანთან.

IV ეტაპი – გამოსასწორებელი ქმედების შესრულება

გამოსასწორებელი ქმედება შესრულებულ უნდა იქნეს წინა ეტაპზე შეთანხმებულ დროში და მისი დასრულების თარიღი ჩაიწეროს საჩივრის ჟურნალში.

V ეტაპი – გამოსასწორებელი ქმედების დამოწმება მომჩივანის მიერ

გამოსასწორებელი ქმედების დასრულების შემდეგ, მისი შედეგი მომჩივანთან ერთად უნდა დამოწმდეს ბთჯ მილსადენის კომპანიის ან სამშენებელო კონტრაქტორის ***საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის*** მიერ. თუ მომჩივანი კმაყოფილია შედეგით, მან ეს უნდა ***დაადასტუროს ხელის მოწერით.*** იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანი უკმაყოფილოა შედეგით, შესაძლებელია მიღწეულ იქნეს შეთანხმება სამშენებლო კონტრაქტორის მიერ ***დამატებითი გამოსასწორებელი ქმედების*** განხორციელებაზე.

VI ეტაპი – საჩივრის დაკმაყოფილების სხვა შესაძლებლობები

იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანი კვლავ არ არის კმაყოფილი შედეგით და მხარეები ვერ თანხმდებიან, სადავო საკითხის მოგვარების მიზნით, ***მომჩივანს შეუძლია მიმართოს სასამართლოს,*** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.5 საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების სხვა ვალდებულებები

გარდა იმისა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები ვალდებული არიან შეაგროვონ საჩივრები და მოახდინონ მათზე სათანადო რეაგირება, ”საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის გეგმა” განსაზღვრავს მათ სხვა ვალდებულებებსაც, რომელთა ცოდნა, ჩვენი აზრით, სასარგებლო იქნება ბთჯ ნავთობსადენის პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქვეული მოსახლეობისთვის. ამდენად, ქვემოთ მოყვანილია საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების ზოგიერთი ვალდებულების ჩამონათვალი.

”საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის გეგმის” თანახმად, რომელიმე კონკრეტულ ტერიტორიაზე ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებამდე სულ მცირე ორი თვით ადრე, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების ჯგუფი უკვე

ადგილზე უნდა იყოს, რათა მათ დაამყარონ კავშირი ადგილობრივ მოსახლეობასთან. ამ პერიოდში მათ გააჩნიათ შემდეგი ვალდებულებები:

- სამშენებლო ბრიგადების ჩამოსვლამდე შეხვდნენ ადგილობრივ თემთა წარმომადგენლებს (ლიდერებს), ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრებისას მიაწოდონ მათ ინფორმაცია კონკრეტულ ადგილზე ჩასატარებელი სამუშაოების ხასიათსა და ხანგრძლივობაზე;
- იმ პერიოდის განმავლობაში, სანამ კონკრეტულ ტერიტორიაზე იმყოფებიან სამშენებლო ბრიგადები, ორ კვირაში ერთხელ (ან საჭიროების და მიხედვით) ჩაატარონ შეხვედრები ადგილობრივ თემებთან და მათ წარმომადგენლებთან;
- ადგილობრივი თემების საჩივრების არსებობის შემთხვევაში, სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმის გამოყენებით, ხელი შეუწყონ საჩივრებზე მოლაპარაკებების გამართვასა და მათ მოგვარებას.

მშენებელთა ბანაკებზე მიმაგრებული საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები ასევე ადგილზე უნდა იყვნენ ბანაკების მშენებლობის დაწყებამდე სულ მცირე ორი თვით ადრე. მათ შემდეგი ვალდებულებები გააჩნიათ:

- მშენებელთა ბანაკების არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში მოაწყონ რეგულარული შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან;
- ყოველთვიურად შეხვდნენ მცირე სამშენებლო ბანაკებისა და ნავთობსადენის მიწისზედა ნაგებობების სიახლოვეს მცხოვრებ ადგილობრივ თემებს და სამშენებლო კონტრაქტორის ხელმძღვანელობას მიაწოდონ რჩევები შეხვედრებისას წამოჭრილი საკითხების თაობაზე.

სამშენებლო კონტრაქტორის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულებაა ასევე ის, რომ მათ ნავთობსადენის პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობას უნდა მიაწოდონ ინფორმაცია გზებზე, უშუალოდ მშენებელთა ბანაკებისა და სამშენებლო მოედნების ტერიტორიაზე და ასევე, მათ მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებების შესახებ.

4. ბთჯ ნავთობსადენის პროექტი და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია

როგორც მე-2 თავში აღვნიშნეთ, 2003 წლის ნოემბერის დასაწყისში ერთ-ერთმა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტმა, კერძოდ, ***საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ*** გამოყო სესხი ბთჯ ნავთობსადენის პროექტისთვის და ამდენად, მანაც, თავის მხრივ, აიღო ვალდებულება ბთჯ ნავთობსადენის პროექტის თავისივე დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებაზე. ეს კი ნიშნავს, რომ საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, ერთის მხრივ, ვალდებულია თვითონ შეასრულოს თავისივე სახელმძღვანელო დოკუმენტებით განსაზღვრული მოთხოვნები; და მეორეს მხრივ, როგორც ბთჯ მილსადენის კომპანიისთვის სესხის გამცემი, ვალდებულია ზედამხედველობა და კონტროლი გაუწიოს ბთჯ ნავთობსადენის პროექტის განხორციელებას კორპორაციის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

მომდევნო ქვეთავებში ჩვენ განვიხილავთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ დადგენილ იმ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის მიერ საჩივრების წარდგენასა და სადავო საკითხების მოგვარებას. თუმცა, ვიდრე ამ მექანიზმის განხილვაზე გადავალთ, ქვემოთ მოკლედ შეგახსენებთ, თუ რას წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია.

4.1 რა არის საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია?

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (International Finance Corporation, IFC) მსოფლიო ბანკის ჯგუფში შემავალი საფინანსო ინსტიტუტია.[3] მიუხედავად იმისა, რომ კორპორაცია გარკვეულწილად დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, ის თავის საქმიანობას წარმართავს მსოფლიო ბანკის ჯგუფში შემავალ სხვა ინსტიტუტებთან შეთანხმებულად.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია დაარსებულ იქნა 1956 წელს განვითარებად ქვეყნებში კერძო სექტორის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით. ამ მიზნის მიღწევით კორპორაცია ***ვარაუდობს განვითარებად ქვეყნებში სიღარიბის შემცირებასა და მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებას.*** მიზნის მისაღწევად კი, კორპორაცია: (ა) აფინანსებს განვითარებად ქვეყნებში განხორციელებად კერძო სექტორის პროექტებს; (ბ) ეხმარება განვითარებადი ქვეყნების კერძო კომპანიებს საერთაშორისო საფინანსო ბაზრებიდან ფინანსური სახსრების მობილიზებაში და (გ) უწევს რჩევებს და ტექნიკურ დახმარებას ამ ქვეყნების კერძო სექტორსა და მთავრობებს. ამჟამად საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის წევრია 175 ქვეყანა,[4] რომელიც კოლექტიურად განსაზღვრავს კორპორაციის მიერ განხორციელებად პოლიტიკას და ამტკიცებს ინვესტიციებს.

კორპორაციის შტაბ-ბინა მდებარეობს ვაშინგტონში (აშშ), თუმცა მისი დანაყოფები მიმობნეულია მთელს მსოფლიოში. ***საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის პრეზიდენტია მსოფლიო ბანკის ჯგუფის პრეზიდენტი (ამჟამად, ჯეიმს ვულფენსონი).*** კორპორაციაში ძალაუფლება თავმოყრილია მმართველთა საბჭოს ხელში, სადაც წევრ ქვეყნებს ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები. მმართველთა საბჭო თავისი უფლებამოსილებების დიდი ნაწილის დელეგირებას ახდენს დირექტორთა საბჭოზე, რომელიც იხილავს კორპორაციაში წარდგენილ ყველა პროექტს.

იმისათვის, რათა პროექტი დაფინანსდეს კორპორაციის მიერ, უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი მოთხოვნები: პროექტი უნდა იყოს ინვესტორისთვის მომგებიანი, სარგებელი უნდა მოუტანოს იმ ქვეყნის ეკონომიკას, სადაც

---

[3] მსოფლიო ბანკის ჯგუფში, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის გარდა, ასევე შედიან განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA), ინვესტირების მრავალმხრივი გარანტირების სააგენტო (MIGA) და საინვესტიციო უთანხმობების დარეგულირების საერთაშორისო ცენტრი (ICSID). ყველა ეს საფინანსო ინსტიტუტი, ხშირად, ერთად მოიხსენიება როგორც "მსოფლიო ბანკი".

[4] საქართველო საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის წევრი გახდა 1995 წელს.

ხორციელდება პროექტი და უნდა დააკმაყოფილოს კორპორაციის გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნები. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ უკანასკნელ წლებში გააუმჯობესა თავისი სოციალური და გარემოსდაცვითი მიდგომები, მის მიერ გატარებად პოლიტიკას კვლავ გააჩნია სერიოზული ნაკლოვანებები. ეს განსაკუთრებით ეხება საზოგადოებასთან კონსულტაციის პროცესს. კორპორაცია ხშირად ხვდება კრიტიკის ქარცეცხლში ასევე იმის გამო, რომ ის ვერ უზრუნველყოფს სესხის მიმღებების მიერ კორპორაციის მოთხოვნების (სტანდარტების) შესრულებაზე ზედამხედველობას / შესრულების კონტროლს.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ ასევე, უარყო დაქვემდებარებოდა მსოფლიო ბანკის "საინსპექციო საბჭოს".[5] სამაგიეროდ, 1999 წელს კორპორაციამ[6] ჩამოაყალიბა ***ომბუცმენის აპარატი***. ამჟამად ეს ორგანო წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელებით დაზარალებული მოსახლეობის წინაშე ანგარიშგების ერთადერთ მექანიზმს.

მომდევნო ქვეთავებში ჩვენ გაგაცნობთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელებით დაზარალებული მოსახლეობის მიერ საჩივრების წარდგენის ამჟამად არსებულ მექანიზმს, კერძოდ კი, ***ომბუცმენის აპარატს***.

4.2. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუცმენი და მისი ფუნქციები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1999 წლიდან საერთაშორისო საფინანსო კორპორაციაში არსებობს კორპორაციის მიერ განხორციელებული პროექტების შედეგად დაზარალებულ პირთა საჩივრების განხილვის მექანიზმი, რომელიც წარმოდგენილია ომბუცმენისა და მისი აპარატის სახით. ომბუცმენი დამოუკიდებელი თანამდებობის პირია და ის პირდაპირ ექვემდებარება მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს. მისი აპარატი (მისდამი დაქვემდებარებული პირები) კი, წარმოადგენს დამოუკიდებელ ერთეულს, რომელიც არ შედის კორპორაციის შემადგენლობაში.

ომბუცმენის ვალდებულებაა, (ა) სამართლიანობის, ობიექტურობისა და კონსტრუქციულობის პრინციპებზე დაყრდნობით, დახმარება გაუწიოს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას იმ პირთა საჩივრების განხილვაში, რომელთა ინტერესებიც შეილახა ამა თუ იმ პროექტის განხორციელებისას და (ბ) ხელი შეუწყოს კორპორაციის მონაწილეობით განხორციელებადი პროექტების სოციალური და გარემოსდაცვითი შედეგების გაუმჯობესებას.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუცმენი ერთდროულად ასრულებს სამ განსხვავებულ ფუნქციას, კერძოდ:

---

[5] საინსპექციო საბჭო – ორგანო, სადაც მსოფლიო ბანკის პროექტების განხორციელების შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას შეუძლია აღძრას სარჩელი

[6] ინვესტირების მრავალმხრივი გარანტირების სააგენტოსთან ერთად

- ***მომრიგებელი მოსამართლის ფუნქციას,*** რაც გულისხმობს იმ პირთა საჩივრების განხილვას, რომელთა ინტერესებიც შეილახა ამა თუ იმ პროექტის განხორციელებისას და იმგვარი გზების გამოძებნას, რომელიც ხელს შეუწყობს წარმოქმნილი პრობლემური საკითხის კონსტრუქციულად გადაჭრას;
- ***დამოუკიდებელი კონსულტანტის ფუნქციას,*** რაც გულისხმობს მსოფლიო ბანკის პრეზიდენტისა და კორპორაციის ხელმძღვანელობისთვის კონსულტაციების გაწევას როგორც კონკრეტული პროექტების, ისე ზოგადად, კორპორაციის პოლიტიკის, წესების, პროცედურების გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებთან დაკავშირებით;
- ***შიდა მაკონტროლებლის ფუნქციას,*** რაც გულისხმობს, როგორც კორპორაციის მიერ განხორციელებად კონკრეტულ პროექტებში აღებული გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების შესრულებაზე კონტროლს, ისე ზოგადად, თვით კორპორაციის საქმიანობასთან დაკავშირებული სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტების შემოწმებას.

ამ ბროშურის მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებეთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ***ომბუცმენის მომრიგებელი მოსამართლის ფუნქციაზე.***

4.3 რას ითვალისწინებს მომრიგებელი მოსამართლის როლი?

მომრიგებელი (მედიატორი) მოსამართლის როლში, ომბუცმენს შეუძლია მიიღოს და განიხილოს იმ პირთა სარჩელი, რომელთა ინტერესებიც შეილახა ან შესაძლებელია შეილახოს ამა თუ იმ პროექტის სოციალური და გარემოსდაცვითი ზემოქმედების შედეგად. ომბუცმენის მთავარი მიზანია, დახმარება გაუწიოს დაზარალებულ მოსახლეობას პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტაში.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ომბუცმენი არ წარმოადგენს რაიმე სახის პოლიციურ ან სასამართლო ორგანოს, მას არ შეუძლია ერთპიროვნულად გადაჭრას ყველა პრობლემა, მაგრამ მას შეუძლია (ა) ხელი შეუწყოს დაინტერესებულ მხარეთა შორის მოლაპარაკებების გამართვას, რათა მათ, თავის მხრივ, მიაღწიონ ყველა მხარისთვის მისაღებ შეთანხმებას პრობლემური საკითხის მოსაგვარებლად და (ბ) წამოაყენოს (შესთავაზოს მხარეებს) კონფლიქტის მოგვარების შესაძლო გზები. ომბუცმენი ცდილობს წარმოაჩინოს პრობლემები, დასახოს გამოსასწორებელი ღონისძიებები და აღმოფხვრას სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები.

4.4 ვის შეუძლია ომბუცმენთან საჩივრის წარდგენა?

ომბუცმენთან საჩივრის წარდგენა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, ადამიანთა გაერთიანებას, რომლის ინტერესებიც შეილახა ან შესაძლებელია შეილახოს კორპორაციის მიერ განხორციელებადი ამა თუ იმ პროექტის სოციალური და გარემოსდაცვითი ზემოქმედების შედეგად.

საჩივარი შეიძლება ასევე, წარდგენილ იქნეს მესამე მხარის (მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციის) მიერ, რომელიც წარმოადგენს დაზარალებულ

პირს/საზოგადოებას. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია, რომ მომჩივანმა საჩივარში მიუთითოს, თუ ვისი სახელით ხდება საჩივრის წარდგენა და ასევე, წარადგინოს მისთვის ამგვარი უფლებამოსილების მინიჭების დამამტკიცებელი საბუთი.

ჩვენი რჩევა

თუ მიგაჩნიათ, რომ ბთჯ ნავთობსადენის პროექტის განხორციელების შედეგად თქვენ მოგადგათ რაიმე სახის გარემოსდაცვითი თუ სოციალური ზიანი, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუცმენს.

აქვე, მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ, რომ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუცმენთან საჩივრის წარდგენა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანი უკმაყოფილოა ბთჯ მილსადენის კომპანიის საჩივრების განხილვისა და სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმის გამოყენების შედეგებით. ანუ, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუცმენს მომჩივანმა შეუძლია მიმართოს მას შემდეგ, რაც გაივლის წინა თავში აღწერილ ბთჯ მილსადენის კომპანიის მიერ დაწესებულ საჩივრის განხილვის ეტაპებს და კვლავ უკმაყოფილო დარჩება შედეგით.

4.5 საჩივრის წარდგენის ფორმა, შინაარსი და კონფიდენციალობა

საჩივარი ომბუცმენს უნდა გაეგზავნოს ***წერილობითი ფორმით***. ის შეიძლება წარდგენილ იქნეს ნებისმიერ ენაზე. შესაძლებლობის და მიხედვით, ომბუცმენის პასუხიც იმავე ენაზე იქნება დაწერილი. საჩივარი ომბუცმენს შეიძლება გაეგზავნოს ფოსტით, ფაქსით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუცმენის საკონტაქტო დეტალები წარმოდგენილია ამ ბროშურის ***IV დანართში***.

ის, თუ რა სახის ინფორმაციას უნდა მოიცავდეს ომბუცმენისთვის წარსადგენი საჩივრი, არ არის მკაცრად განსაზღვრული. თუმცა, სასურველია, რომ ***საჩივარში წარმოდგენილი იყოს შემდეგი სახის ინფორმაცია:***

- მომჩივანის სახელი, გვარი, მისამართი და სხვა საკონტაქტო დეტალები;
- სურს, თუ არა მომჩივანს თავისი ვინაობის ან საჩივართან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალობის შენარჩუნება და რატომ;
- პროექტის მოკლე აღწერა, მონაცემები პროექტის განმახორციელებელი და/ან პროექტში მონაწილე ორგანიზაციების/კომპანიების შესახებ, ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, მონაწილეობს, თუ არა საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია კონკრეტულ პროექტში;
- ნათლად წარმოჩენა იმისა, თუ როგორ შეილახა ან მომავალში შესაძლოა შეილახოს მომჩივანის ინტერესები, პროექტის განხორციელების გარემოსდაცვითი თუ სოციალური ზემოქმედების შედეგად;
- მითითება იმისა, თუ რა ქმედებები იქნა გატარებული პრობლემის მოსაგვარებლად; უპირველეს ყოვლისა. კი იმის მითითება, მიმართა თუ არა ადრე მომჩივანმა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის, პროექტის განმახორციელებლის ან ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლებს;

- თუ მომჩივანის პრობლემა ომბუცმენთან მიმართვამდე ნახევრად იქნა მოგვარებული, მაშინ, მითითება იმისა, თუ პრობლემის რა ასპექტები დარჩა მოუგვარებელი;
- ზუსტად მითითება იმისა, თუ რა შედეგს ელის მომჩივანი, საუკეთესო შემთხვევაში;
- საჩივარს შესაძლოა, თან დაერთოს ნებისმიერი სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დამასაბუთებელი მასალა.

აღსანიშნავია, რომ თხოვნის საფუძველზე, ომბუცმენის აპარატმა შესაძლოა, დახმარება გაუწიოს მომჩივანს საჩივრის შედგენაში. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარში მოყვანილი პირველადი ინფორმაცია ნათლად ვერ ასახავს პრობლემას, ომბუცმენმა შესაძლოა, მომჩივანს თხოვოს დამატებითი ინფორმაციის ან ახსნა-განმარტებების წარდგენა. პოტენციურ მომჩივანებს ასევე, შეუძლიათ საჩივრის წარდგენამდე ახსნა-განმარტებისთვის წინასწარ მიმართონ ომბუცმენს.
კონფიდენციალობა. თუ მომჩივანი მოითხოვს, ომბუდსმენი დაიცავს მომჩივანის კონფიდენციალობას, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ომბუცმენი არ განიხილავს ანანონიმურ საჩივრებს. ომბუცმენი ასევე იცავს დამამტკიცებელი საბუთების კონფიდენციალობას. ამ ინფორმაციის გახმაურება შესაძლებელია მხოლოდ მომჩივანთან შეთანხმებით.

მომჩივანმა უნდა გაითვალისწინოს, რომ საჩივრის განხილვის საწყის ეტაპებზე პროექტის განმახორციელებელს და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის თანამდებობის პირებს, როგორც წესი, მიეწოდებათ ინფორმაცია საჩივრის არსის შესახებ. ამდენად, მომჩივანმა დასაწყისშივე უნდა მიუთითოს საჩივარში, რა სახის ინფორმაციაზე მოითხოვს ის კონფიდენციალობის დაცვას. ომბუცმენი იცავს კონფიდენციალობას ასევე, მხარეთა შორის მოლაპარაკების წარმოებისას.

4.6 ომბუცმენის აპარატში საჩივრის განხილვის ეტაპები

ომბუცმენისთვის საჩივრის წარდგენის შემდეგ, ომბუცმენის აპარატში იწყება საჩივრის განხილვა. საჩივრის განხილვის პროცესი შესაძლებელია, პირობითად, ექვს ეტაპად დაიყოს. ეს ეტაპები მოკლედ მიმოხილულია ქვემოთ.

<u>**I ეტაპი – საჩივრის მიღება**</u>
როგორც წესი, საჩივრის მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა, მომჩივანს ეგზავნება შეტყობინება საჩივარის მიღების თაობაზე.

<u>**II ეტაპი – საჩივრის განსახილველად მიღება ან უარის თქმა მის განხილვაზე**</u>
ამ ეტაპზე ომბუცმენი იღებს გადაწყვეტილებას მიიღოს, თუ არა განსახილველად კონკრეტული საჩივარი. როგორც წესი, ამგვარი გადაწყვეტილება მიიღება 15 სამუშაო დღის განმავლობაში. ომბუცმენი საჩივარს მიიღებს განსახილველად, თუ ის ჩათვლის, რომ საჩივარი არ არის საფუძველს მოკლებული და მომჩივანის ინტერესები შეილახა ან შესაძლოა შეილახოს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ დაგეგმილი ან განხორციელებადი პროექტის ზემოქმედების შედეგად.

თუ ომბუცმენი მიიჩნევს, რომ საჩივარი წარდგენილია ბოროტი განზრახვით და არ არის სამართლიანი, მაგალითად, მიმართულია კონკურენტების საწინააღმდეგოდ, საჩივარი არ განიხილება. საჩივრის განსახილველად მიღების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა საჩივრის საფუძვლიანობა და დასაბუთებულობა.

საჩივრის განსახილველად მიღების შემთხვევაში, მას მიენიჭება სარეგისტრაციო ნომერი, დადგინდება გადაწყვეტილების მიღების სავარაუდო ვადები და ამის შესახებ ეცნობება მომჩივანს. საჩივრის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში კი, მომჩივანს ეგზავნება შეტყობინება, რომელშიც მითითებულია საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძვლები.

ჩვენი რჩევა

როგორც ვხედავთ, იმისათვის, რათა ომბუცმენმა განსახილველად მიიღოს თქვენი საჩივარი, საჭიროა, რომ ის იყოს საფუძვლიანი და დასაბუთებული. ამისათვის კი აუცილებელია, რომ შეაგროვოთ თქვენთვის პრობლემურ საკითხთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია და მოახდინოთ მისი დოკუმენტირება.

თქვენ აუცილებლად უნდა შეინახოთ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით ბთუ მილსადენის კომპანიისგან და/ან მისი კონტრაქტორებისგან მიღებული და თქვენს მიერ გაგზავნილი წერილები და სხვა ნებისმიერი სახის დამადასტურებელი საბუთი (მაგალითად, შეხვედრების ოქმები, ფოტოსურათები, ვიდეო/აუდიო-ჩანაწერები და სხვ.). აუცილებლად დააფიქსირეთ წერილების გაგზავნისა და მიღების თარიღები. ასეთი სახის ინფორმაცია თქვენ ყოველთვის გამოგადგებათ, თუ თქვენ გადაწყვეტთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუცმენთან საჩივრის წარდგენას.

<u>III ეტაპი – საჩივრის ანალიზი</u>

მესამე ეტაპზე მიმდინარეობს საჩივრის ანალიზი, რომლის დროსაც ომბუცმენი ახორციელებს წინასწარ გამოძიებას და ადგენს საჩივარში აღძრული საკითხების განხილვის თანმიმდევრობას. ყოველივე ეს ხორციელდება საჩივრის მიღებიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში.

ინფორმაციის, შენიშვნებისა და ასევე პრაქტიკული წინადადების მიღების მიზნით, საჩივრის ანალიზის დაწყებისთანავე, ომბუცმენი დაუყოვნებლივ უგზავნის საჩივარს კორპორაციის ხელმძღვანელობას. კორპორაციის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს რაც შეიძლება სწრაფად, მაგრამ ომბუცმენისგან ინფორმაციის მიწოდებიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა. ამავე ვადაში ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის პროექტის განმახორციელებელს, უნდა გაეგზავნოს შეტყობინება საჩივრის მიღების და მასში წამოჭრილი საკითხების თაობაზე. შეტყობინებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვაგვარი სახე, იმის და მიხედვით, მოითხოვა, თუ არა კონფიდენციალობის შენარჩუნება მომჩივანმა.

ანალიზის შედეგად ომბუცმენი ღებულობს გადაწყვეტილებას გაგრძელდეს, თუ რა საჩივრის განხილვა მომრიგებელი მოსამართლის პოზიციიდან.[7] ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ომბუცმენს ამ ეტაპზეც შეუძლია შეწყვიტოს საჩივრის განხილვა, თუ ის ჩათვლის, რომ შემდგომი გამოძიება უსარგებლო იქნება. ამის შესახებ ის უგზავნის შეტყობინებას როგორც მომჩივანს, ისე სხვა დაინტერესებულ მხარეებს. გარკვეულ შემთხვევებში, საჩივარში წამოჭრილი პრობლემატიკა შესაძლოა გასცდეს ერთი, კონკრეტული საჩივრის ფარგლებს და საჭირო გახდეს პრობლემის უფრო ფართო ჭრილში განხილვა. ამდენად, საკითხი შესაძლოა, გახდეს ომბუცმენის მიერ კორპორაციის ხელმძღვანელობისთვის კონსულტაციების გაწევის ან კორპორაციის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლის საფუძველი.[8] ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაშიც, ომბუცმენი უგზავნის შეტყობინებას მომჩივანს.

იმ შემთხვევაში, თუ ომბუცმენი მიიღებს გადაწყვეტილებას გააგრძელოს მუშაობა საჩივარზე, მან უნდა შეადგინოს შემდგომი სამუშაო გეგმა უთანხმოების მოსაგვარებლად. კონფლიქტების დარეგულირების მექანიზმების შერჩევისას, უპირატესობა ენიჭება ისეთ კლასიკურ მეთოდებს, როგორიცაა ხელშეწყობა, შუამავლობა და მოლაპარაკებები.

ანალიზის შედეგად მზადდება დასკვნა, რომელშიც განსაზღვრულია შემდგომი ქმედებები და საჩივრის განხილვის ვადები. დასკვნის ასლი ეგზავნება მომჩივანს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ხელმძღვანელობას და საჭიროების შემთხვევაში, პროექტის განმახორციელებელს. შესაძლებელია, უკვე ამ ეტაპზე ანალიზის შედეგების შესახებ ინფორმაცია გაეგზავნოს მსოფლიო ბანკის პრეზიდენტსაც. თუ მომჩივანი არ არის წინააღმდეგი, დასკვნას შესაძლოა, თან დაერთოს საჩივარიც.

<u>IV ეტაპი – გეგმის შესრულება</u>

შემდგომი ქმედებების შერჩევისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საჩივრის ხასიათს, განსახილველი საკითხის სირთულეს და გადაუდებელობას. ანალიზის შედეგებზე დაყრდობით, ომბუცმენი შეარჩევს და განახორციელებს ქვემოთ ჩამოთვლილი მექანიზმებიდან ერთ-ერთს:

- მხარეების მიერ კონფლიქტის მოგვარების გზების ძიების სტიმულირების მიზნით, მომჩივანს, პროექტის განმახორციელებელსა და კორპორაციას შორის დიალოგის გამართვის ხელშეწყობა;
- მხარეების მორიგება ან მხარეებს შორის შუამავალობა, ომბუცმენის აპარატის ან მესამე დამოუკიდებელი მხარის ჩართვის გზით;
- ომბუცმენის აპარატის მიერ გამოძიების დაწყება;
- რთული და გადაუდებელი საკითხების გადასაჭრელად შუალედური რეკომენდაციების მომზადება.

---

[7] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუცმენს, მომრიგებელი მოსამართლის გარდა, ასევე შეუძლია დამოუკიდებელი კონსულტანტისა და შიდა მაკონტროლებლის ფუნქციების შესრულებაც.

[8] ანუ, ასეთ შემთხვევებში, ომბუცმენი იწყებს დამოუკიდებელი კონსულტანტის ან შიდა მაკონტროლებლის ფუნქციების განხორციელებას.

ომბუცმენის უპირველესი ამოცანაა, კონფლიქტის მოგვარება მხარეებს შორის დიალოგის გამართვის გზით. რაც შეეხება მორიგებასა და შუამავლობას, ეს მექანიზმები გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მისაღებია ყველა მხარისთვის.

ამრიგად, ამ ეტაპის დასასრულს, დიალოგის, შუამავლობისა და მორიგების პროცესის შედეგად შესაძლოა მიღწეულ იქნეს ყველა მხარისთვის მისაღები შეთანხმება. შეთანხმება ფორმდება წერილობით და წარედგინება მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს ანგარიშის სახით. შეთანხმება შეიძლება ითვალისწინებდეს კორპორაციის ან პროექტის განმახორციელებლის მიერ ჩასატარებლი ქმედებების შესახებ წინადადებებს. მასში ზუსტად უნდა იქნეს მითითებული დაგეგმილი ქმედებების მიზნები, ხასიათი, არსი, ვადები და სხვ.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ ჩამოთვლილი მექანიზმები არაეფექტური აღმოჩნდება კონფლიქტის მოსაგვარებლად, ომბუცმენმა შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება გამოძიების გაგრძელების შესახებ. შემდგომი გამოძიების მოცულობას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განსაზღვრავს თვით ომბუცმენი. გამოძიებისას შესაძლოა, განხორციელდეს შემდეგი ქმედებები:

- საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის დოკუმენტაციის შესწავლა;
- მომჩივანთან, კორპორაციის თანამშრომლებთან, პროექტის განმახორციელებელთან, ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების ჩატარება;
- გასვლა პროექტის განხორციელების ადგილზე;
- პროექტის განხორციელების ადგილზე ღია შეხვედრების ჩატარება; წერილობითი და ზეპირსიტყვიერი ახნა-განმარტებების მოთხოვნა ინფორმაციის ნებისმიერი წყაროდან;
- შესაბამისი პროფილის ექსპერტების ჩართვა საჩივრის განსახილველად.

<u>V ეტაპი – საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა და საჩივრის განხილვის დამთავრება</u>

ომბუცმენს უფლება აქვს შეწყვიტოს საჩივრის განხილვა შეთანხმების მიღწევისას ან იმ შემთხვევაში, თუ თვლის, რომ შემდგომი გამოძიება ან კონფლიქტის მოგვარების არჩეული გზები წარუმატებელია. საჩივრის განხილვის დამთავრებისას ომბუცმენი უგზავნის ანგარიშს მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს. ანგარიში ასევე ეგზავნება მომჩივანს, კორპორაციის ხელმძღვანელობას, პროექტის განმახორციელებელს და ქვეყნდება საჯაროდ.

იმ შემთხვევაში, თუ საკითხის დარეგულირების გამოყენებული გზებისა და ფაქტების გამოძიების შედეგად, ვერ მოხერხდა თვითონ მხარეების მიერ კონფლიქტის მოგვარება, ომბუცმენს შეუძლია იმოქმედოს ორგვარად:

- ან აცნობოს მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს, რომ პრობლემის გადაჭრის მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა და კონფლიქტის მოსაგვარებლად კორპორაციის მიერ რაიმე სახის ქმედების გატარება უპერსპექტივოა;

- ან წარუდგინოს რეკომენდაცია მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს იმ შემდგომი ქმედებების შესახებ, რომელიც უნდა გაატაროს კორპორაციის ხელმძღვანელობამ საჩივარში წამოჭრილი საკითხების გადასაჭრელად.

<u>VI ეტაპი – მონიტორინგი</u>

ომბუცმენი უზრუნველყოფს, რომ მხარეთა შორის მიღწეულ შეთანხმებაში გათვალისწინებული იყოს შემოწმებისა და ზედამხედველობის შესაძლებლობები. მსოფლიო ბანკის პრეზიდენტისადმი წარდგენილ ანგარიშს, როგორც წესი, თან ერთვის მიღწეული შეთანხმების შესრულების მონიტორინგის პროგრამა და ვადები. ომბუცმენმა ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელებისას შესაძლოა, დასახმარებლად მიმართოს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ან სხვა ორგანიზაციების თანამშრომლებს.

I დანართი

საქართველოში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენის პროექტის განხორციელების სამართლებრივი მოთხოვნები

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენის პროექტის განხორციელების სამართლებრივი მოთხოვნები განისაზღვრება ორი ხელშეკრულებით:

- "საქართველოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ" ხელშეკრულებით (სამთავრობოთაშორისო ხელშეკრულება), რომელსაც ხელი მოეწერა 1999 წლის 18 ნოემბერს სტამბოლის სამიტზე; და

- საქართველოს მთავრობასა და ძირითადი საექსპორტო მილსადენის პროექტის მონაწილეებს შორის დადებული ხელშეკრულებით "ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან", რომელიც საბოლოოდ შეთანხმებულ იქნა 2000 წლის 28 აპრილს და რომელიც ზემოაღნიშნული სამთავრობოთაშორისო ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულებები რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2000 წლის 31 მაისს.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტში საქართველოს მხარის წარმომადგენლად, საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 17 ოქტომბრის №455 ბრძანებულების თანახმად, დანიშნულია საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია. საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულს, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტს გიორგი ჭანტურიას, კი იმავე ბრძანებულების საფუძველზე მიენიჭა უფლებამოსილება, რომ საქართველოს სახელით ხელი მოეწერა სამთავრობოთაშორისო ხელშეკრულების დანართებისთვის.

შენიშვნა: ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების შესახებ დამატებით ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს მიერ 2002 წელს გამოცემულ ბროშურაში - "საქართველოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ ხელშეკრულების ანალიზი"

ბროშურა გამოცემულია ქართულ და ინგლისურ ენებზე. დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ, მოგვმართოთ ამ ბროშურის გარეკანზე მითითებულ მისამართზე ან დაგვიკავშირდეთ იქვე მითითებულ ტელეფონის ნომრებზე.

II დანართი

ბთჯ მილსადენის კომპანიისა და მისი კონტრაქტორების საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების მოვალეობაა, ხელი შეუწყონ ბთჯ მილსადენის კომპანიის "სოციალური მიზნების თაობაზე განცხადების" განხორციელებას. ამ განცხადებაში წარმოდგენილია ის ფუძემდებლური პრინციპები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ როგორც ბთჯ მილსადენის კომპანიამ, ისე მისმა კონტრაქტორებმა და მათ მიერ დაქირავებულმა პირებმა ნავთობსადენის პროექტის განხორციელებისას. ამდენად, ამ დანართში თავდაპირველად წარმოდგენილია ბთჯ მილსადენის კომპანიის "სოციალური მიზნების თაობაზე განცხადება", შემდგომ კი, ამონაკრები ბთჯ მილსადენის კომპანიისა და მისი სამშენებლო კონტრაქტორის ვალდებულებების ჩამონათვალიდან, რომელიც განსაზღვრულია ამ ბროშურის მე-2 თავში აღნიშნული საპროექტო დოკუმენტაციით.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განცხადება სოციალური მიზნების თაობაზე [9]

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტი კისრულობს ვალდებულებას, როგორც მილსადენის მშენებლობის, ისე მისი ექსპლოატაციის განმავლობაში მოუტანოს სარგებლობა მილსადენის მარშრუტის გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობას და დაამყაროს მასთან ხანგრძლივი ურთიერთობა.

- **ჩვენ მინიმუმამდე დავიყვანთ პოტენციურ უარყოფით ზემოქმედებას ამ ზემოქმედების განსაზღვრისა და შემსუბუქების მეშვეობით, კერძოდ, სოციალური ზემოქმედების შეფასების გზით.**

- **რეგულარულად გამოვაქვეყნებთ უახლეს ინფორმაციას პროექტის ეკოლოგიურ და სოციალურ ასპექტებთან დაკავშირებით და რეგულარულ დიალოგს ვაწარმოებთ დაინტერესებულ ორგანიზაციებთან.**

- **მშენებლობის დაწყებამდე, მშენებლობის პროცესში და შემდგომში რეგულარული კონტაქტი გვექნება მილსადენის მარშრუტის გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობასთან საკონტაქტო პირთა[10] ჯგუფის მეშვეობით.**

- **ავანაზღაურებთ მიწასა და საკუთრებაზე მიყენებულ ზარალს კანონიერი, გამჭვირვალე და ეთიკური გზით, რომელიც გულისხმობს მონაწილე პირთა ინტერესების დაცვას.**

---

[9] იხ. "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი: ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის პროექტი საჯარო განხილვისთვის", სურათი 14-1 (ტექსტი მოყვანილია უცვლელი სახით).

[10] ჩვენი შენიშვნა: "საკონტაქტო პირებში" იგულისხმება ამ ბროშურაში აღნიშნული საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები

- ნათელს მოვფენთ დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირებულ საკითხებს სამუშაო ადგილებთან დაკავშირებული მოთხოვნების და მათი ხანგრძლივობის თაობაზე ინფორმაციის უზრუნველყოფით.

- შევეცდებით, შევქმნათ შესაძლებლობები საქართველოს მოქალაქეთა, კერძოდ კი მილსადენის მარშრუტის გასწვრივ მდებარე სოფლების მცხოვრებთა, დასაქმების გასაზრდელად, მათი შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების გათვალისწინებით.

- შემოვიღებთ სამუშაოდ დაქირავების პროცედურებს, რომლებიც ყველასათვის (მიუხედავად ეროვნული წარმომავლობის, რელიგიისა თუ სქესისა) გამჭვირვალე, საჯარო და ღია იქნება.

- პერიოდულად ჩავატარებთ სპეციალურ მომზადებას, რათა გავაუმჯობესოთ როგორც დასაქმებულთა, ისე კონტრაქტორთა უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები.

- შევიმუშავებთ პროცედურებსა და მართვის გეგმებს მუშათა ყველა ბანაკისათვის, ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის გათვალისწინებით.

- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის ფარგლებში დაქირავებული ყველა თანამშრომლისა და კონტრაქტორისთვის პერიოდულად ჩავატარებთ სპეციალურ მომზადებას ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის სფეროში.

- შევიმუშავებთ საზოგადოებისთვის ინვესტირების პროგრამას, რომელიც სარგებლობას მოუტანს როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საოპერაციო კომპანიას, ისე მილსადენის მარშრუტის გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობას.

- შევეცდებით, შევქმნათ შესაძლებლობები ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რათა სარგებლობა მიიღონ პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისა და პროექტისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შედეგად.

ამონაკრები ბთჯ მილსადენის კომპანიისა და მისი სამშენებლო კონტრაქტორის ვალდებულებების ჩამონათვალიდან

დასახელება	M3
ვალდებულება/ ქმედება	მშენებლობის დროს პრიორიტეტი მიენიჭება მუშახელს მილსადენის პირდაპირი ზემოქმედების ტერიტორიებზე, ანუ შემოთავაზებული მარშრუტის ორივე მხარეზე, ან პროექტის მუდმივი ან დროებითი საშუალებებიდან 2 კმ-ის ფართობზე დასახლებული თემებიდან. მშენებლობის კონტრაქტორმა უნდა შეიმუშავოს დასაქმების სტრატეგია, რომლის შესაბამისად მოხდება მუშახელის დაქირავება მარშრუტის გასწვრივ განლაგებული დასაქმების ცენტრებიდან. სტრატეგია ითვალისწინებს პირველ რიგში იმ ტერიტორიების დადგენას და გადამოწმებას, სადაც განმცხადებლები ცხოვრობენ; ინფორმაციას გამოცდილებაზე, უნარ ჩვევებსა და პოტენციური ტრენინგის შესაძლო საჭიროებაზე. ბთჯ მილსადენის კომპანია და კონრაქტორი უზრუნველყოფენ, რომ დასაქმების ცენტრების რაოდენობა და განლაგება თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი რათა ნებისმიერ დაინტერესებულ მოსახლეს შეეძლოს ცენტრში მისვლა.
წყარო	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება; ცხრილი 11.2
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი – მშენებლობა; ბთჯ მილსადენის კომპანია – ექსპლუატაცია
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა და ექსპლუატაცია

დასახელება	M4
ვალდებულება/ ქმედება	სამშენებლო კონტრაქტორს მოეთხოვება ბთჯ მილსადენის კომპანიასთან ერთობლივად დასაქმების გამჭვირვალე, საჯარო და ღია სტრატეგიის შემუშავება. კონტრაქტორის ან ბთჯ მილსადენის კომპანიის მიერ არ იქნება წარდგენილი ან მიღებული "უპირატესობის მქონე პირების" სიები - განცხადებები მიიღება ყველასაგან შესაბამისი გეოგრაფიული რეგიონიდან. სამუშაოზე დაქირავების პროცესი გაკონტროლებული იქნება ბთჯ მილსადენის კომპანიის მიერ. არსებობს წინადადება, სამუშაოზე დაქირავების პროცესი აგრეთვე კონტროლდებოდეს ადგილობრივი თემის საპატივცემულო წევრის მიერ. ეს შეიძლება იყოს გამგებელი, საკრებულოს თავჯდომარე ან თემის არაოფიციალური ლიდერი, მაგ. მასწავლებელი ან ექიმი. გარდა ამისა, კონტრაქტორს ეთხოვება დაინტერესებული მხარეების უზრუნველყოფა არსებული სამუშაო ადგილების ნათელი და საკმარისად კონკრეტული აღწერილობით. დასაქმების სტრატეგია გავრცელდება მილსადენის გავლენის ქვეშ მოხვედრილ ყველა თემში, ამ რაიონებში სამუშაოზე დაქირავების პროცესის დაწყების თარიღამდე სულ ცოტა ერთი თვით ადრე. ეს ალბათ გაკეთდება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ბროშურებისა და პლაკატების გავრცელებით.
წყარო	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება; ცხრილი

	11.2
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი – მშენებლობა; ბთჯ მილსადენის კომპანია – ექსპლუატაცია
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა და ექსპლუატაცია

დასახელება	M 10(Z4a)
ვალდებულება/ ქმედება	სამშენებლო კონტრაქტორმა ბთჯ მილსადენის კომპანიას უნდა წარუდგინოს ადგილობრივი რესურსების გამოყენების პროცედურები, რაც მოიცავს ქართველი მეწარმეებისაგან შესასყიდი საქონლის სავარაუდო მოცულობას და შესყიდვების დაახლოებით დროს/სეზონს. საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები ადგილობრივ თემებს მიაწოდებენ ინფორმაციას საქონლის მოცულობაზე, რომლის ყიდვასაც კონტრაქტორი ადგილობრივად აპირებს რაიონებში, რათა თემმა შეძლოს საქონლის მიწოდების დაგეგმვა საკუთარი საჭიროებისათვის ზიანის მიუყენებლად.
წყარო	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება; ცხრილი 11.2
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი – მშენებლობა; ბთჯ მილსადენის კომპანია – ექსპლუატაცია
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა და ექსპლუატაცია

დასახელება	M 13 (add)
ვალდებულება/ ქმედება	კონტრაქტორმა უნდა დაიქირავოს პერსონალი ყველა ქვეყნის ყველა რეგიონიდან სადაც გადის ნავთობსადენი. კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს რომ თითოეული რეგიონიდან მოსახლეების თანაბარი რაოდენობა დასაქმდეს პროექტის განხორციელებისას.
წყარო	PPM, თავი 3
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა

დასახელება	M 14 (add)
ვალდებულება/ ქმედება	კონტრაქტორმა უნდა იხელმძღვანელოს დასაქმების შემდეგი პრინციპებით: დასაქმების პროცესი უნდა იყოს გამჭირვალე, საჯარო და ღია ყველასათვის; დასაქმების პროცედურების შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს წინასწარ და გავრცელდეს მილსადენის

	მარშრუტის გასწვრივ; ახლადდაქირავებულმა მუშახელმა უნდა გაიროს შესაბამისი სწავლება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი ოსტატობისა და ცოდნის შესაბამისობა დაკავებული სამუშაო ადგილის მოთხოვნებთან; ადგილი არ უნდა ჰქონდეს რელიგიური, ეთნიკური, სქესობრივი, სექსუალური ან სხვა სახის დისკრიმინაციას.
წყარო	გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების ჩამონათვალი, ბთჯ მილსადენის კომპანია
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა

დასახელება	M27
ვალდებულება/ ქმედება	განაცხადები დასაქმების სურვილი ქონის შესახებ მიიღება შესაბამის გეოგრაფიულ არეალში მცხოვრები ყველა მოსახლისაგან. უპირატესობა მიენიჭება მილსადენის მშენებლობის გავლენის ქვეშ მყოფ მოსახლეობას, წარმოდგენილი იქნება ნახევრად კვალიფიცირებული და კვალიფიცირებული სამუშაოს დეტალური აღწერა. დასაქმება მოხდება მხოლოდ დასაქმების ცენტრების მეშვეობით და არავითარ შემთხვევაში პირადი თხოვნის საფუძველზე. ხელფასები გაიცემა არანაკლებ არსებული მინიმალური ხელფასისა და ყურადღება მიექცევა ადგილობრივ საბაზრო პირობებს. გავრცელდება ცნობა იმის შესახებ, რომ პროექტისათვის საჭირო ნებისმიერი საქონელი არ შეისყიდება არაფორმალურად ბანაკებში, ან სამუშაო ადგილებზე და შესყიდვის შესახებ კონტრაქტი წინასწარ გაფორმდება მომწოდებელთან.
წყარო	PPM, თავი 3
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი – მშენებლობა; ბთჯ მილსადენის კომპანია – ექსპლუატაცია
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა და ექსპლუატაცია

დასახელება	N3
ვალდებულება/ ქმედება	იმ შემთხვევებში, სადაც ზიანის თავის არიდება შეუძლებელია, გადახდილი იქნება ფულადი კომპენსაცია სრული ღირებულების საფუძველზე (მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შესაბამისად), ან უზრუნველყოფილი იქნება სანაცვლო ნაგებობები/საშუალებები. მთლიანი აღდგენის ვარიანტი მოიცავს ნაგებობების უშუალო ჩანაცვლებას ფულადი ოპერაციების გარეშე. ამის გარდა, სამშენებლო კონტრაქტორი შეაფასებს და დოკუმენტალურად დააფიქსირებს ზემოქმედებას შენობებზე, რომლებზეც გარკვეული რისკ ფაქტორი მოქმედებს და პროექტის სატრანსპორტო მარშრუტების სიახლოვეს არის განლაგებული. აღნიშნული დოკუმენტაცია შეთანხმებული იქნება სახლის მობინადრეებთან და მათ გადაეცემათ ასლი.

წყარო	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება; ცხრილი 11.4
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა
დასახელება	N5
ვალდებულება/ ქმედება	საკუთრებისათვის ზიანის მიყენებისა და მიწის კომპენსაციის საკითხები. სხვა პროდუქტიული საკუთრების განადგურება/ ზიანის მიყენება (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ფუტკრები) და აუცილებელი კომპენსაცია. მაგალითად, როდესაც საზოგადობასთან ურთიერთობის ოფიცერი დროულად (თაფლის წარმოების სეზონის დაწყებამდე) არ გააფრთხილებს სკების მეპატრონეს, ბთჯ მილსადენის კომპანია ვალდებული იქნება დაეხმაროს მეპატრონეს სკების გადატანაში მილსადენის მარშრუტიდან სულ მცირე 7 კმ-ის დაშორებით და გადაუხადოს ნებისმიერი დანაკარგის ან გადატანის ღირებულების თანხა პროექტის საჩივრების წარდგენის პროცედურის ფარგლებში. კომპენსაცია აუცილებლობის შემთხვევაში: თუკი ადგილი ექნება საწარმოო საშუალებების დროებით დაკარგვას, გადაიხდება კომპენსაცია მშენებლობის პერიოდში დაკარგული წლიური საშუალო შემოსავლის გამოთვლის საფუძველზე. აღნიშნული ქონება აღდგენილი იქნება თავის პირვანდელ მდგომარეობამდე მშენებლობის დასრულების შემდგომ. ქონების სამუდამოდ დაკარგვის შემთხვევაში ფულადი კომპენსაცია გამოითვლება ფიქსირებული საბაზრო ფასების კოეფიციენტის გამოყენებით.
წყარო	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება; ცხრილი 11.2. კრედიტორთა დამატებითი საინფორმაციო პაკეტი – თავი 6.3.2
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა

დასახელება	N21(add)
ვალდებულება/ ქმედება	უკვე მომზადებულია და სამშენებლო კონტრაქტორს გადაეცემა ყველა არსებული გზის, სატელეფონო და ელექტრო გაყვანილობის, ნავთობის, გაზისა და წყლის მილების გადაკვეთის გრაფიკი. კონტრაქტორმა აღნიშნული ობიექტებისა და მილების გადაკვეთა უნდა განახორციელოს მათ მესაკუთრეებთან სრული შეთანხმებით და ზიანის მიყენების გარეშე. მშენებლობის დროს კონტრაქტორმა უნდა გაითვალისწინოს დაუდგენელი მომსახურებისა და შენობების არსებობის შესაძლებლობა და თავი აარიდოს მათ დაზიანებას. წინასწარ არ არის გათვალისწინებული და დაგეგმილი მომსახურების სისტემის დარღვევა. კონტრაქტორმა უნდა აღადგინოს ნებისმიერ მიყენებული ზიანი.

წყარო	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება; ცხრილი 11.5.2.1
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა

დასახელება	N22(add)
ვალდებულება/ ქმედება	იმ შემთხვევებში, როდესაც დაგეგმილია ინფრასტრუქტურასა და მომსახურების სისტემაზე ზემოქმედება, კონტრაქტორმა წინასწარ უნდა გააფრთხილოს შესაბამისი პირები. ყველა დაგეგმილი ზემოქმედების თაობაზე უნდა ეცნობოს ადგილობრივ ხელისუფლებასა და თემებს სულ ცოტა 3 დღით ადრე მშენებლობის წინა შეხვედრებზე. ზემოქმედების დრო და ხანგრძლივობა შეთანხმებული უნდა იქნეს კონტრაქტორსა და ზეგავლენის ქვეშ მოხვედრილ მხარეს შორის. თუკი მოხდება ინფრასტრუქტურის დაზიანება, ხელისუფლებასა და თემებთან უნდა მოხდეს აღდგენის გრაფიკის შეთანხმება. თუკი ზეგავლენის ქვეშ მოხვედრილი მხარის აზრით, ზემოქმედების შედეგად მოხდება საარსებო წყაროს დაკარგვა, სარჩელის დასაბუთებულობის მიხედვით განისაზღვრება კომპენსაციის ოდენობა.
წყარო	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება; ცხრილი 11.5.2.1
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა

დასახელება	N 24(add)
ვალდებულება/ ქმედება	კონტრაქტორი პასუხისმგებელია ტექნიკურ მომსახურებაზე მილსადენის მშენებლობიდან 2 მომდევნო წლის განმავლობაში.
წყარო	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება; ცხრილი 11.5.2.1
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა

დასახელება	N 25(add)
ვალდებულება/ ქმედება	კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს, რომ პროექტის დასრულების შემდეგ ადგილი არ ექნება ადგილობრივ ინფრასტრუქტურაზე

	უარყოფით ზემოქმედებას.
წყარო	გარემოსდაცვითI და სოციალური ვალდებულებების ჩამონათვალი, ბთჯ მილსადენის კომპანია
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი
განხორცილების ეტაპი	მშენებლობა

დასახელება	N 26(add)
ვალდებულება/ ქმედება	მშენებლობის დროს ნებისმიერი უარყოფითი ზემოქმედება უნდა განისაზღვროს და სადაც შესაძლებელია, თავიდან უნდა იქნეს აცილებული. იქ, სადაც ამგვარი ზემოქმედების თავიდან აცილება შეუძლებელია, კონტრაქტორმა უნდა შეათანხმოს ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემთან სამართლიანი და თანასწორი კომპენსაცია.
წყარო	გარემოსდაცვითI და სოციალური ვალდებულებების ჩამონათვალი, ბთჯ მილსადენის კომპანია
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი
განხორცილების ეტაპი	მშენებლობა

დასახელება	N 28(add)
ვალდებულება/ ქმედება	ბთჯ მილსადენის კომპანია მოითხოვს კონტრაქტორისაგან, რომ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხები განხილული იყოს ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებთან.
წყარო	გარემოსდაცვითI და სოციალური ვალდებულებების ჩამონათვალი, ბთჯ მილსადენის კომპანია
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი
განხორცილების ეტაპი	მშენებლობა

დასახელება	O4
ვალდებულება/ ქმედება	საზოგადოებასთან კავშირის ჯგუფი წინასწარ მიაწოდებს საზოგადოებას ინფორმაციას, თუ როდის მოითხოვება გზების გადაკეტვა და გადახრილ გზებზე გაკეთდება სათანადო ნიშან-სვეტები. ალტერნატიული მისადგომი მარშრუტები ყოველთვის იქნება ხელმისაწვდომი. ეს უნდა მოიცავდეს არსებულ ალტერნატიულ გზებს, ისევე როგორც კონტრაქტორის მიერ სპეციალურად კონსტრუირებულ ნებისმიერ მარშრუტს.

წყარო	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება; ცხრილი11-5
პასუხისმგებელი	ბთჯ მილსადენის კომპანია
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა

დასახელება	O12
ვალდებულება/ ქმედება	კონტრაქტორი შეაკეთებს მისასვლელ გზებს მშენებლობის დაწყებამდე.
წყარო	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება; ცხრილი10.3
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა

დასახელება	O18
ვალდებულება/ ქმედება	კონტრაქტორი მოამზადებს ტრანსპორტის მოძრაობის გეგმას, რომელიც უნდა მოიცავდეს უსაფრთხო მგზავრობის წესებს – ასე მაგალითად, აიკრძალება ტრასპორტის ღამით გადაადგილება და ტრასაზე მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე შეიზღუდება 80კმ/სთ, ხოლო დასახლებულ ტერიტორიებზე 40-60კმ/სთ-ით.
წყარო	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება; ცხრილი11.5
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა

დასახელება	P10 (F14) (G11)
ვალდებულება/ ქმედება	ტყით დაფარულ ტერიტორიებზე კონტრაქტორი განახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს, რათა არ დაუშვას გასხვისების ზოლში შეღწევის შესაძლებლობა და ტყის არალეგალური ჭრა: • მშენებლობისა და ოპერირების პერიდში, გასხვისების ზოლის გასწვრივ იმორიგეევებს უშიშროების პატრული; • განსაზღვრული ადგილები, გასხვისების ზოლის გასწვრივ, უკანონო შეღწევისაგან დასაცავად გარშემორტყმული იქნება ფიზიკური ბარიერებით; • კონტრაქტორმა შესაძლოა გამოიყენოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფი ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების

	ასამაღლებლად ტყეების და არალეგალური ჭრების შესახებ ხელისუფლებისათვის შეტყობინების მნიშვნელოვნების შესახებ; და • მილსადენის მშენებლობის დროს გაყვანილი ახალი მისასვლელი გზების აღდგენა ეკოლოგიურად მგრძნობიარე ტერიტორიებზე.
წყარო	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება; პასუხები ანგარიშის საჯარო განხილვის პროცესში მიღებულ შენიშვნებზე, თავი 5.11.5
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა

დასახელება	P11 (14)
ვალდებულება/ ქმედება	კონტრაქტორმა უნდა შეაკეთოს და აღადგინოს მესამე მხარის ნებისმიერი საკუთრება ან მომსახურეობის სფეროს დაწესებულება, რომელიც დაზიანდება მილსადენის მშენებლობის შედეგად.
წყარო	გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების ჩამონათვალი, ბთჯ მილსადენის კომპანია
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა

დასახელება	P25 (N2) (add)
ვალდებულება/ ქმედება	ბთჯ მილსადენის კომპანია იქნება პასუხისმგებელი კომპენსაციებზე სამშენებლო პერიოდში ქონების დაზიანებისა და ნაყოფიერების დაკარგვისათვის. ეს კომპენსაცია განსხვავებული იქნება მრავალწლიანი და ერთწლიანი ნარგავებისათვის. სადაც გარდაუვალია ზემოქმედება ხეებსა და მრავალწლიან ნარგავებზე, განხილული იქნება ზოლის დაპატარავების საკითხი ზემოქმედების მინიმუმამდე დასაყვანად. ნაღდი ფულის კომპენსაცია გამოთვლილი იქნება გადახდილი იქნება დარგვის, შრომისა და სასუქების ღირებულების საფუძველზე, რომლებიც საჭიროა ნარგავების / სასოფლო სამეურნეო საშუალებების სიმწიფის პერიოდამდე მისაღწევად, და იმ პერიოდის განმავლობაში დაკარგული პროდუქციის ღირებულება, რაც საჭიროა ახალგაზრდა ნერგებისათვის ხის/ვაზის იმ ნაყოფიერების იმ დონის მისაღწევად, რომელიც ჰქონდა მშენებლობის დაწყებამდე. ზეგავლენის ქვეშ მოხვედრილი ფერმერები უზრუნველყოფილი იქნებიან მილსადენის მშენებლობის გრაფიკის შესახებ ინფორმაციით, ისე რომ მათ არ დაკარგონ მოსავალი ამის საჭიროების გარეშე. სიძნელეების შემთხვევები (მაგ. პრობლემები წყალთან დაკავშირებით, ფურაჟის ნაკლებობა, სეზონურ საძ ვრებზე მისასვლელი გზების გადაკეტვა, ახლადშობილი ბატკნების/ხბორების დაღუპვა) გაკონტროლებული იქნება საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფის მიერ (როგორც კონტრაქტორის, ისე ბთჯ მილსადენის

	კომპანიის ჯგუფი), რათა საჭიროების შემთხვევაში პროექტის მიერ გაწეული იყოს ფულადი ან სხვა სახის დახმარება. დადგინდება საჩივრების აღძვრის მექანიზმები იმ ოჯახებისათვის, რომლებიც პროექტის შედეგად ეკონომიკურ სირთულეებს აწყდებიან. სამშენებლო პროცესის განმავლობაში გამოყენებული მიწა შემდგომში რეკულტივირებული იქნება. ამ პროცედურებზე პასუხისმგებელი იქნება სამშენებლო კონტრაქტორი, ხოლო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია მონიტორინგს გაუწევს. საბოლოოდ, ყველა სახნავ სათესი და საძოვარი მიწა, გარდა იმ ნაკვეთებისა, რომლებიც მუდმივი მიწისზედა ნაგებობებისა და ახალი მუდმივი მისასვლელი გზებისათვის იქნება გამოყენებული, აღდგენილი იქნება ისეთ მდგომარეობამდე მაინც, რომელშიც მშენებლობის წინ იმყოფებოდა. სახნავ სათესი მიწა ტერასებად იქნება დამუშავებული და იმ მდგომარეობამდე იქნება მიყვანილი, რომ ფერმერს შეეძლოს ხელახლად თესვის დაწყება. იმ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა მიწის ხელახლად დათესვა ეროზიის თავიდან ასაცილებლად, თესვის რეჟიმი შეთანხმებული იქნება მიწის მესაკუთრეებთან
წყარო	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება; ცხრილი11.4
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი და ბთჯ მილსადენის კომპანია
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა

დასახელება	P27 (N13)
ვალდებულება/ ქმედება	კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა, პროექტის განხორციელების შედეგად არ განიცდიდეს წყლის მიწოდების ნაკლებობას. კონტრაქტორი წინასწარ განსაზღვრავს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გამოყენებული წყლის რესურსების წყაროებს და შეათანხმებს წყლის მოცულობას, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს მშენებლობისას. სასმელი წყალი ბანაკებისა და სამშენებლო უბნებისათვის უნდა იყოს ბოთლებში ჩამოსხმული, ამრიგად ადგილობრივი წყაროები არ გამოიყენება დასალევად.
წყარო	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება; ცხრილი11.5; პასუხები ანგარიშის საჯარო განხილვის პროცესში მიღებულ შენიშვნებზე, თავი 6.8
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი და ბთჯ მილსადენის კომპანია
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა და ექსპლუატაცია

დასახელება	P 28 (N14) (Z4)
ვალდებულება/ ქმედება	დანალექის კონტროლის ღონისძიებები გატარებული იქნება მდინარის ყველა გადაკვეთაზე და იქ, სადაც სასმელი წყლის წყაროები

	სამშენებლო საქმიანობათა ზეგავლენის ქვეშ ექცევა. როდესაც სასმელი წყლის მიწოდება შეჩერებულია მშენებლობის გამო, საზოგადოებას უნდა მიეწოდებოდეს წყალი ალტერნატიული წყაროებიდან წყლის შეწყვეტის პერიოდში.
წყარო	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება; ცხრილი11.5;
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი და ბთჯ მილსადენის კომპანია
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა და ექსპლუატაცია

დასახელება	P33 (N32) (add)
ვალდებულება/ ქმედება	კონტრაქტორმა უნდა შეათანხმოს ბთჯ მილსადენის კომპანიასთან იმ თემებისათვის გვერდის ავლის კრიტერიუმები, სადაც ტრანსპორტის ზემოქმედება იქ გავლის შემთხვევაში გადამეტებული იქნება.
წყარო	გარემოსდაცვითI და სოციალური ვალდებულებების ჩამონათვალი, ბთჯ მილსადენის კომპანია
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა

დასახელება	P35 (N34) (add)
ვალდებულება/ ქმედება	კონტრაქტორმა კომპანიამ უნდა მოიპოვოს სამშენებლო მასალები ადგილზე არსებული საშუალებებიდან (წყარო, საბადო), სადაც ეს შესაძლებელია. კონტრაქტორმა კომპანიამ უნდა მიიღოს აუცილებელი თანხმობა ადგილობრივი მმართველობისაგან.
წყარო	გარემოსდაცვითI და სოციალური ვალდებულებების ჩამონათვალი, ბთჯ მილსადენის კომპანია
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა

დასახელება	Q 6
ვალდებულება/ ქმედება	ბანაკების სამედიცინო მომსახურება ზოგადად არ იქნება ხელმისაწვდომი ადგილობრივი თემისათვის. თუმცა მუშებს, ადგილობრივი მუშების ჩათვლით, შეეძლებათ პროექტის სამედიცინო დაწესებულებების გამოყენება.
წყარო	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება;

	ცხრილი11-6
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი – მშენებლობა; ბთჯ მილსადენის კომპანია –ექსპლუატაცია
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა და ექსპლუატაცია

დასახელება	Q7 (N18) (1103) (022) (add)
ვალდებულება/ ქმედება	ზოლი იქნება მკვეთრად გამოყოფილი. კონტრაქტორი საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფის დახმარებით პასუხისმგებელი იქნება გადაკვეთის წერტილების დადგენაზე. მან უნდა მიაღწიოს შეთანხმებას მიწის მეპატრონეებთან, მიწის მომხმარებლებთან (მწყემსების ჩათვლით) და საზოგადოებასთან გადაკვეთების ყველაზე ოპტიმალურ რაოდენობისა და ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით, რღვევის მინიმუმამდე დაყვანის საგარანტიოდ. სოფელ კოდიანისა და საკირესა და ტაბაწყურთან ახლოს მდებარე სოფლების მწყემსებთან შეთანხმდება გადაკვეთის წერტილები. ისინი იქნება უსაფრთხო, ვიზუალური და განათებული. მილსადენის გზებით ან სხვა მისადგომი მარშრუტებით გადაკვეთის ადგილებში კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება უსაფრთხო შემოვლითი გზების, დროებითი ხიდების, ტრანსპორტის კონტროლის, ბარიკადების, ნიშნების და გამაფრთხილებელი სინათლეების მოწყობასა და შენარჩუნებაზე. ლიანდაგებისა და გზების ყველა გადაკვეთა აღდგენილი იქნება სამუშაოების დასრულებისას.
წყარო	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება; ცხრილი11-5
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა

დასახელება	Q8(add)
ვალდებულება/ ქმედება	მოსალოდნელია, რომ ღია ტრანშეის სიდიდე შეზღუდული იქნება 15კმ-მდე. საქონლისათვის საშიშ ადგილებში აღიმართება დამცავი ღობეები. საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფი ღობეებისათვის ადგილის შერჩევას შეათანხმებს სათანადო საზოგადოებებთან და საქონლის მეპატრონეებთან სამუშაოების დაწყების წინ. ნიადაგის ნაყარი და ამოთხრილი გრუნტის მასა ხელს შეუშლის შემთხვევით ხეტიალს ზოლში. საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფები მიაწოდებენ ინფორმაციას უსაფრთხოების ზომების შესახებ მარშრუტის გასწვრივ საზოგადოებასთან შეხვედრის დროს მშენებლობის დაწყებამდე. გადაკვეთის ყველა ადგილი ღია ტრანშეაზე იქნება ღობეშემოვლებული რომელიმე მხრიდან, რომ ადგილი არ ჰქონდეს ხალხისა და საქონლის თხრილში ჩავარდნას. დამატებით, დანიშნული უნდა იყოს ყარაულები ტრანშეებისა და ღამის საათებში სატვირთო მანქანების სადგომის კონტროლისათვის. ისინი დააბრკოლებენ მოსახლეობის ზოლში შეჭრას.

წყარო	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება; ცხრილი11-5
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა

დასახელება	Q9(add)
ვალდებულება/ ქმედება	ასაფეთქებელი სამუშაოები – კონტრაქტორი საკონტრაქტო მოთხოვნილებების მიხედვით ვალდებულია: მოიპოვოს წერილობითი ნებართვა ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენების, შენახვისა და ტრანსპორტირებისათვის. ასაფეთქებელ ნივთიერებებთან მომუშავე პერსონალს უნდა ჰქონდეს გავლილი შესაბამისი წვრთნა და გააჩნდეს ლიცენზია ამგვარი სამუშაოების შესრულებისათვის. ადგილობრივი მოსახლეობა გაფრთხილებული უნდა იყოს წინასწარ აფეთქების დროისა და ადგილის შესახებ; მათ უნდა მიეცეთ საშუალება მოაცილონ საქონელი იმ ადგილებს და მზად იყვენენ აფეთქებისთვის. გამაფრთხილებელმა ნიშნებმა და უსაფრთხოების ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოება. განმეორებითი ხმოვანი შეტყობინება უნდა გაკეთდეს უშუალოდ ყოველი აფთქების წინ. აფეთქება მხოლოდ დღისით უნდა განხორციელდეს.
წყარო	კრედიტორთა დამატებითი საინფორმაციო პაკეტი – თავი 5.3.4
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა

დასახელება	Q14 (R47) (add)
ვალდებულება/ ქმედება	საქონლის მოძრაობის ძირითადი გზა იქნება განსაზღვრული და ამის და მიხედვით, სამშენებლო კორიდორში გაკეთდება სპეციალური გადასასვლელები. ამან უნდა შეამციროს წყალზე ხელმისაწვდომობის, სეზონური საძოვრების და ა.შ. პრობლემები. სამშენებლო კორიდორი შესაბამისად შეღობილი უნდა იყოს (სადაც საჭიროა) რათა საქონელი არ მოხვდეს ღია თხრილებში.
წყარო	განსახლების სამოქმედო გეგმა 5.4.5
პასუხისმგებელი	ბთჯ მილსადენის კომპანია და მშენებლობის კონტრაქტორი
განხორციელების ეტაპი	მშენებლობის წინა პერიოდი

დასახელება	S 12 (add)
ვალდებულება/ ქმედება	კონტრაქტორმა კომპანიამ უნდა განიხილოს თემებისათვის ნების დართვის საკითხი, რათა მათ გამოიყენონ ნარჩენები და მასალები ბანაკებიდან და მშენებლობის ადგილებიდან, რომელიც შესაძლებელია განიხილებოდეს როგორც ნარჩენი მასალა. ეს საკითხი შეიძლება განიხილებოდეს იმ ნარჩენებისა და მასალების მიმართ, რომლებსაც კონტრაქტორი კომპანია სხვა შემთხვევაში გაიტანდა ხელახალი სარგებლობისათვის. მაგ: ტექნიკური აღჭურვილობა, სამუშაო იარაღები, ბანაკების საყოფაცხოვრებო დანადგარები და ა.შ
წყარო	გარემოსდაცვითI და სოციალური ვალდებულებების ჩამონათვალი, ბთჯ მილსადენის კომპანია
პასუხისმგებელი	ბთჯ მილსადენის კომპანია / მშენებლობის კონტრაქტორი
განხორცილების ეტაპი	მშენებლობის წინა პერიოდი, მშენებლობა და ექსპლუატაცია

დასახელება	S 13 (add)
ვალდებულება/ ქმედება	ბანაკებში უნდა იყოს გათვალისწინებული გასართობი საშუალებების არსებობა, რათა შემცირებულ იქნას მუშების სურვილი ბანაკების დატოვებისა.
წყარო	გარემოსდაცვითI და სოციალური ვალდებულებების ჩამონათვალი, ბთჯ მილსადენის კომპანია
პასუხისმგებელი	ბთჯ მილსადენის კომპანია / მშენებლობის კონტრაქტორი
განხორცილების ეტაპი	მშენებლობის წინა პერიოდი, მშენებლობა და ექსპლუატაცია

დასახელება	S 27 (V2)
ვალდებულება/ ქმედება	ხმაური და ვიბრაცია – ტრანსპორტისა და პერსონალის მიმოსვლის ზრდა – ახლოს მცხოვრები მოსახლეობის შეწუხება და გარეული ცხოველების შეშფოთება ხმაურით. - ხმაურიანი სამუშაოების შესრულების საათების შეზღუდვა და 1კმ-იან ზონაში ყველა პოტენციური რეცეპტორის გაფრთხილდება დაგეგმილი სამუშაოების შესახებ.
წყარო	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება; ცხრილი10-5
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი

განხორციელების ეტაპი	მშენებლობა

დასახელება	S 31 (V7)
ვალდებულება/ ქმედება	განხორციელდება მისასვლელი გზების წინასწარი შესწავლა, მათი მდგომარეობა დაფიქსირდება წერილობით დოკუმენტში თანდართული ამობეჭდილი დიჯიტალური ფოტოებით, რომელიც ხელმოწერილი იქნება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ ნებისმიერი სარეკონსტრუქციო სამუშაოს ან აღნიშნულ გზებზე პროექტით გათვალისწინებული ავტოტრანსპორტის მოძრაობის დაწყებამდე. შემდგომში, ადგილი ექნება ამ გზებზე საჭიროებისამებრ ტექნიკურ მომსახურეობას ავტოტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით.
წყარო	პასუხები ანგარიშის საჯარო განხილვის პროცესში მიღებულ შენიშვნებზე, თავი 4.3.5.
პასუხისმგებელი	მშენებლობის კონტრაქტორი
განხორციელების ეტაპი	მშენებლობა

III დანართი

ამ დანართში წარმოდგენილია ბთჯ მილსადენის კომპანიისა და მისი სამშენებლო კონტრაქტორის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების და ასევე, "საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის" და დასაქმების საინფორმაციო ცენტრების საკონტაქტო დეტალები. აქ წარმოდგენილი ინფორმაცია გავრცელებულ იქნა 2003 წლის 8 სექტემბერს ქ. ბორჯომში საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე.

საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების სია

ბთჯ მილსადენის კომპანია

გარდაბნის საქაჩი სადგურის სამშენებლო სამუშაოები	გიორგი ობოლაძე ტელ: (899) 21 06 04
თეთრიწყაროს საქაჩი სადგურის სამშენებლო სამუშაოები	ოთარ ლომიძე ტელ: (899) 21 30 04
გარდაბანსა და მარნეულში ნავთობსადენის სამშენებლო სამუშაოები	ანა პეტრიაშვილი ტელ: (899) 21 06 02
თეთრიწყაროსა და წალკაში ნავთობსადენის სამშენებლო სამუშაოები	ზურაბ მღვდლიაშვილი ტელ: (899) 96 33 17

ბორჯომსა და ახალციხეში ნავთობსადენის სამშენებლო სამუშაოები	კოტე ჭანტურიშვილი ტელ: (899) 96 33 15

სამშენებლო კონტრაქტორი სპი-პეტროფაკი

გარდაბნის საქაჩი სადგურის სამშენებლო სამუშაოები	გიგა ხვიჩია ტელ: (899) 72 30 04 ლევან ჩიქოვანი ტელ: (899) 29 63 61
თეთრიწყაროს საქაჩი სადგურის სამშენებლო სამუშაოები	შოთა მაჭავარიანი ტელ: (899) 29 71 21 ალეკო მამაცაშვილი ტელ: (899) 72 18 49
წალკაში ნავთობსადენის სამშენებლო სამუშაოები	დავით გაბისკირია ტელ: (899) 72 18 63 დავით სუჯაშვილი ტელ: (899) 72 18 61
წალკა, მუშათა ბანაკი	გოჩა მღებრიშვილი ტელ: (899) 21 61 67
ბაკურიანი, ნებისმიერი სახის სამუშაოები	გიორგი ოქრომჭედლიშვილი ტელ: (899) 72 18 71

სამშენებლო კონტრაქტორი სპი-პეტროფაკი
დასაქმების / საინფორმაციო ცენტრები

გარდაბანი	მისამართი: სტალინის ქ. №54
თეთრიწყარო	მისამართი: ჯავახიშვილის ქ. №21
წალკა	მისამართი: რუსთაველის ქ. №61

ბთჯ მილსადენის კომპანიის საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა (სიპ)

გარემოსდაცვითი და სოციალური პროგრამების მენეჯერი (საზოგადოებრივი ინვესტირების	მარია ეიქრიგი მისამართი: საბურთალოს ქ. 38 ტელ: 59 34 00

პროგრამის მართვაზე პასუხისმგებელი პირი)	ფაქსი: 59 34 80
საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის კოორდინატორი	ეთერ კვირიკაშვილი მისამართი: საბურთალოს ქ. 38 ტელ: 59 34 00 ფაქსი: 59 34 80
სიპ-აღმოსავლეთი (გარდაბანი, მარნეული, თეთრიწყარო)	ნანა თოფურიძე ტელ: 25 24 71, 25 24 73 ელ/ფოსტა: ntopuridze@mercycorps.ge
სიპ-დასავლეთი (წალკა, ბორჯომი, ახალციხე, ადიგენი)	გია ღლონტი ტელ: 29 15 31, 29 13 78 ელ/ფოსტა: george_glonti@care.org.ge

IV დანართი

საკონტაქტო ინფორმაცია

<u>საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუცმენი, ქალბატონი მეგ ტეილორი</u>

მისამართი: Compliance adviser/Ombudsman
International Finance Corporation
2121 Pennsylvania Ave., NW
Room F5K-292
Washington, DC 20433
USA
ტელეფონი: +202 458 1973
ფაქსი: +202 522 7400
ელ/ფოსტა: cao-compliance@ifc.org
ვებ-გვერდი: www. cao-ombudsman.org

<u>საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სხვა საკონტაქტო დეტალები</u>

<u>მსოფლიო ბანკის საქართველოს ოფისი</u>
მისამართი: თბილისი, 380079, ჭავჭავაძის გამზირი, I ჩიხი №5ა
ტელეფონი: 91 30 96 ან 91 25 37
ფაქსი: 91 35 08
საკონტაქტო პირი: ინგა პაიჭაძე

<u>საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოს წარმომადგენლობა</u>
მისამართი: თბილისი, 380079, ჭავჭავაძის გამზირი, I ჩიხი №5ა
ტელეფონი: 91 30 96 ან 91 25 37
ფაქსი: 91 35 08
საკონტაქტო პირი: ანა ახალკაცი

<u>ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საქართველოს წარმომადგენლობა</u>
მისამართი: თბილისი, 380002, ნინო ჩხეიძის ქ. №38
ტელეფონი: 92 05 12
ფაქსი: 92 38 45
საკონტაქტო პირი: ნიკოლაი ჰავკისკი

შენიშვნებისა და წინადადებისათვის
გთხოვთ მოგვამართოთ შემდეგ მისამართზე:

ასოციაცია “მწვანე ალტერნატივა”
ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ 1, I სადარბაზო, IV სართული
ტელ: 22 38 74 / 99 04 72
ფაქსი: 93 24 03
ელ.ფოსტა: **greenalt@caucasus.net**
www.greenalt.wanex.net